„ხარს ვგევარ ნა. ალადარს, რჟით მიწახა ჭიზვერ ვბუბუნებ.
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, მძინარიც იმას ვდუდუნებ“

ვაჟა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლების ტრიბუნა

825
1978 /2

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.

TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA

Journal périodique en langue géorgienne

№21 PARIS MAI 1978 მაისი პარიზი №21

Djobadze's Library

შინაარსი

. 2	გაზაფხულის ზეიმი	
. 3	60 წლის წინად	
. 7	საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოგონება	ნიკოლოზ ურუშაძე
. 9	მანიფესტაციები თბილისში ქართული ენის დასაცავად	გ. ჭაღელი
. 11	ბრეჟნევის კონსტიტუცია	გ. წერეთელი
.12	ქართული თვითგამოცემა და მათი ავტორები (დასასრული)	რედაქტორი
. 13	მოკლედ დიდ ამბებზე	
.18	იური ორლოვის გასამართლება	
. 19	ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას „გასამართლება“	გ. ქართველი
. 21	გენერალ გრიგორენკოს განცხადება	
. 22	საფრთხე. შემდეგ აფხაზეთი	ბ. განშორებული
. 24	შვეული მონადირე ბუნება	მ. ქავთარაძე
	სამგლოვიარო განცხადებები	
	თავისუფლების ტრიბუნის ფონდი	
	საქართველოს დამოუკიდებლობის 60 წლისთავი პარიზში	

RESPONSABLE; GEORGES TSERETELI. 8, RUE DES MARCHAIS. 75019 PARIS. TEL: 607.08.14
Edition hors commerce

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის ზეიმი

ჩვენს მკითხველებს მთელ ქართველობას გილოცავთ სამ დიდებულ დღესასწაულს: იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას შრომის ზეიმს-პირველმაისობას, ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს-ოცდაექვსმაისობას.

ქართველი ხალხი წელსაც ხელფეხშებოჭილი ხვდება ამ იშვიათ თარიღებს. თუმცა სულ სხვადასხვა ხასიათის არიან, მაგრამ არცერთი ამ დღესასწაულთაგანი არ შეუძლია მის ნებაზედ იზეიმოს, განიცადოს და გამოამჟღავნოს. პირველმაისობას საბჭოები თითქოს დიდი რიხით ზეიმობენ, მაგრამ აქაც საქმე გვაქვს უზარმაზარ ყალთაბანდობასთან, კაცობრიობის მისტიფიკაციასთან. მშრომელი ხალხი ისევე ღაგამამოდებულია და უუფლებო როგორც ინტელიგენცია და გაძარცვული ბრძოლით მოპოებული ყველა უფლებებისაგან. აბა, გაბედონ თბილისის მუშებმა და ხელფასის მომატების მოთხოვნილებით გამოვიდნენ თბილისის ქუჩებში! მაშინათვე სპეციალურ საგიჟეთებში უკრავენ თავს.

მიუხედავად ასეთი შევიწროებისა, ქართველი ხალხი გულხელდაკრებილი არ ზის. იღწვის, იბრძვის და ზოგიერთ მიღწევებითაც ეგებება ამ ძვირფას დღესასწაულებს. ამ მიღწევებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა დედაენისათვის გაწეული დროული, მიზანშეწონილი შესაფერისი და წარმატებით დაგვირგვინებული ბრძოლა. ფაქტი თბილისის თოთხმეტ აპრილის მანიფესტაციებისა, მისი მშვიდობიანი მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილების ხასიათი უეჭველად მოწმობს საქართველოს დღევანდელი ახალგაზრდობის დიდ პოლიტიკურ სიმწიფეს.

აღვნიშნავთ და ხაზს ვუსვამთ რა ამ უეჭველ წარმატებას, არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ეს წარმატება სრული და საბოლოო არ არის, რომ ქართული ენისათვის წარმოებული ომი მოგებული არ არის. მტერმა ტაქტიკური მოსაზრებით უკან დაიხია, მაგრამ თავის მზაკვრულ განზრახვაზე ხელი როდი აუღია. სხვაც რომ არა იყოს რა, ამას ცხადად მოწმობს მიღებული კონსტიტუციის სადავო 75-ე კარის განგებ გაურკვეველი შინაარსი. კრემლის მთავრობას და მის აგენტებს საქართველოში ხელი არ აუღიათ თავიანთ კრიმინელურ გადაწყვეტილებაზე: მიაღწიონ ქართველი ხალხის ასიმილაციას, ქართული სისხლის, ქართული სულის, ქართული ენის გარუსებას. ერთი წუთითაც ეს ჰეშმარიტება მხედველობიდან არუნდა იქნეს გაშვებული. თავი არუნდა მიეცეს ნებივრობას, უზრუნველობას. ყოველდღიური ბრძოლით უნდა იქნეს მიღწეული, რათა კონსტიტუციაში ჩაწერილი სიტყვები: „საქართველოს ს.ს.რ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ მკვდარ ასოებად არ დარჩნენ, არამედ ხორცი შეისხნან და საქართველოს სახელმწიფო საზღვრებში მცხოვრებ ყველა მოქალაქისათვის ქართული ენა გახდეს ერთადერთი საერთო ენა შრომაში და ურთიერთ დამოკიდებულებაში და არა რუსული ენა.

ძალიან ძნელი დასაჯერებელია, რომ ამის განხორციელება შეიძლებოდეს დღევანდელ პირობებში-კრემლისგან დამორჩილების პირობებში. ქართულმა მოდგმამ, ქართულმა ცივილიზაციამ, ქართულმა ენამ, რომ სრული და ჰარმონიული განვითარება შეძლოს, აუცილებლად საჭიროა თავი დააღწიოს რუსულ შემხუთავ გარემოცვას, აღადგინოს დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო. ამიტომ, ყოველმა ქართველმა გულში ხატად უნდა ჩაისვენოს 26 მაისი, რადგანაც იგია ახალი საქართველოს თვითხელმწიფების სიმბოლო.

ბევრმა ქართველმა ახალგაზრდამ იქნება არც კი იცოდეს ამ თარიღის ნამდვილი ბუნება და ხასიათი, საბჭ. საოკუპაციო ხელისუფლება ამ სამოცი წლის განმავლობაში ხომ გაშმაგებით ცდილობს მომსწრე თაობის მეხსიერებიდან ამოძირკვოს დამოუკიდებლობის დროინდელი მოგონებები, ხოლო ახალ თაობებს მის კარიკატურებს სთავაზობს.

უფროსი თაობის ვაღია მტრის რისხვას არ შეუშინდეს და დღევანდელ ქართველ ახალგაზრდობას გადაცეს უტყუარი ამბები 1918 წლის 26 მაისის შესახებ.

60 წლის წინად

რუსეთის თებერვლის დიდი რევოლუციის შემდეგ სულ სხვაგვარად წარიმართა პოლიტიკური მდგომარეობა ამ. კავკასიაში და კერძოდ საქართველოში. თუმცა თბილისშიაც სტიქიურად შეიქმნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები, მაგრამ მათში ბოლშევიკებმა ვერავითარი როლი ვერ ითამაშეს. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოები მთლიანად ქართველი სოც. დემოკრატების-მენშევიკების ხელში აღმოჩნდა, მისი თავმჯდომარე კი იყო ნოე ჟორდანია. შემდეგ ამას შეუერთდა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და მუშათა და ჯარისკაცთა გაერთიანებულ საბჭოების თავმჯდომარეც იგივე ნოე ჟორდანია გახლდათ. იგივე ნოე ჟორდანია იქნა არჩეული პრეზიდიუმის თავმჯდომარედ როცა, უფრო მოგვიანებით, რუსეთში მომხდარ ბოლშევიკურ გადატრიალების შემდეგ, საქართველოს ყველა პარტიების და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო.

სრულიად რუსეთის დროებითმა მთავრობამ შექმნა ამ. კავკასიის კომისარიატი. მისი თავმჯდომარე იყო რუსი ხარლამოვი. წევრები: აკაკი ჩხენკელი და კიტა აბაშიძე საქართველოდან, პაპაჯანოვი სომხებიდან და ჯაფაროვი აზერბაიჯანელებიდან. ოზაკომი, როგორც მას უწოდებდნენ, არ სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, რადგანაც მის განკარგულებაში არ იყო არც ჯარი, არც პოლიცია. როცა თანდათან უწესრიგობა გამრავლდა თბილისის მუშათა საბჭოებთან შეიქმნა მუშათა მილიციები წესრიგის დასამყარებლად. იგივე ამბავი მოხდა შემდეგ პროვინციებშიაც. განსაკუთრებით მას შემდეგ რაც მუშათა გვარდიის მოხალისეებმა ხელში ჩაიგდეს თბილისის არსენალი და იქ არსებული იარაღი, ძალაუფლება ბუნებრივად გადავიდა მუშათა დეპუტატების საბჭოს ხელში. თვით აწ განსვენებულ ნოე ჟორდანიას თქმით(ჩემი წარსული), როცა თბილისის სოც. დემ. მუშათა პარტიის ცენტ. კომიტეტში მიიღებდნენ რაიმე გადაწყვეტილებას ის უცვლელად ტარდებოდა შემდეგ, როგორც თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოში, ისე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოში, საქართველოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში და თვით ამიერკავკასიისაშიც. ეს იმიტომ, რომ მთავარ ხერხემალს ყველა ამ საბჭოებისას ერთიდაიგივე ქართველი მენშევიკები წარმოადგენდენ.

რუსეთში ბოლშევიკურ გადატრიალებამდე, ამ პარტიის გადაწყვეტილება იყო კავკასიის ყველა არსებულ დაწესებულებაში შეჭრა და დაპატრონება, კავკასიაში პარტიის მინიმუმის ცხოვრებაში გატარება. რუსეთის დამფუძნებელ კრების საუბლებით გამორკვევა შემდეგი სახელმწიფოებრივი სტრუქტურისა. პეტროგრადში მომხდარმა ბოლშევიკების გადატრიალებამ ყველაფერი ყირამალა დააყენა. კავკასიისათვის მიუღებელი შეიქნა ბოლშევიკური დიქტატურა დაცხადი გახდა, რომ საქართველოს თავის თავისათვის თავად უნდა მოევლო. გადაწყდა ამიერ კავკასიის სახელმწიფოს ფარგლებში მოქმედება. სქემატიურად, მთავარი მოვლენები ამ დროს შემდეგნაირად წარიმართნენ: *1917* წლის *19* ნოემბერს თბილისში შეიკრიბა ყველა ქართული პარტიების და საზოგადო ეროვნული ორგანიზაციებს წარმომადგენლების ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია თავისი ეროვნული საბჭო, საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და კომიტეტის პრეზიდიუმი ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ეს იყო უმნიშვნელოვანესი მოვლენა **საქართველოს სახელმწიფოს აღდგენის გზაზე.** ეროვნული საბჭოს შემადგენლობა ასეთი იყო: *36* სოც. დემოკრატი, *10* სოც. ფედერალისტი, *10* სოც. რევოლუციონერი და *9* ნაც. დემოკრატი. იმავე წლის თორმეტ დეკემბერს, მოხალისე მუშათა რაზმმა, რომელიც თბილისის მუშათა დეპ. საბჭოს ემორჩილებოდა, საარაკო გამბედაობით აიღო თბილისის არსენალი და იქ მოპოებული იარაღით საფუძველი ჩაუყარა ქართულ სახალხო გვარდიას. *1918* წლის *21* იანვარს საფუძველი ჩაეყარა თბილისის ქართულ უნივერსიტეტს. ხოლო *12* მარტს *1917* წელში ივერიის ქრისტიანულმა ეკლესიამ საზეიმო ვითარებაში გამოაცხადა ავტოკეფალია(დამოუკიდებლობა). **ეს მეორე ნიშანსვეტი იყო საქართველოს თვითხელმწიფების აღდგენის გზაზე.** *1918* წლის ათ თებერვალს მოწვეულიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც შედგებოდა აზერბაიჯანის, სომხეთის , კავკასიის მთის და საქართველოს წარმომადგენლობისაგან. სეიმმა აირჩია ამიერკავკასიის მთავრობა. მარტის დამდეგს, ქალაქ ბრესტ-ლიტოვსკში, ლენინის რუსეთის წარმომადგენლებმა, რომელსაც ლეონ ტროცკი მეთაურობდა, გერმანიასთან და თურქეთთან სამარცხვინო სეპარატიული ზავი დადვა. ამ ხელშეკრულობის მიხედვით სხვათაშორის თურქეთს ეთმობოდა ქართული მიწაწყალი- ყარსის, არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვინის და ბათუმის ოლქები. როცა თურქეთის მთავრობამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების განაღდება მოითხოვა, ამიერკავკასიის მთავრობის სახელით ევგენი გეგეჭკორმა ენერგიული პროტესტით უარი შეუთვალა. თურქეთის განთქმულ დიპლომატიას არ გაჭირვებია ამიერკავკასიის მთავრობის სუსტი საერთაშორისო უფლებების მითითება. ამიერკავკასია თუ ძველებურად რჩებოდა რუსეთის ფარგლებში, უსიტყვოდ უნდა შეესრულებია საბჭოთა რუსეთის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები, თუ არადა დაუყოვნებლივ უნდა გამოცხადებულიყო ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობის პრინციპი როდი იწვევდა დავას, არამედ ზოგიერთ პასუხისმგებელ მოღვაწეს აფიქრებდა სწორედ თურქეთის განზრახვები ამ დამოუკიდებელი კავკასიის მიმართ. მოსალოდნელი იყო, რომ თურქეთი ისარგებლებდა ჯერ კიდევ მოუმაგრებელ კავკასიის დამოუკიდებლობით და შეეცდებოდა მის სამხედრო ოკუპაციას. ამ უკანასკნელ შეხედულებას იცავდა აგრეთვე ნოე ჟორდანია.სეიმში გამართულ კამათის შემდეგ ხმათა დიდი უმრავლესობით გადაწყდა დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადება. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა ოფიციალურად გამოცხადდა *1918* წლის *9* აპრილს.

თურქეთმა არ მიიღო ამიერკავკასიის საზავო წინადადებები და მისი ჯარები ყოველი მიმართულებით შემოესია , რომელიც ბრესტ-ლიტოვსკით დათმობილ ტერიტორიას აღარ დასჯერდა,დაიბყრო სომხეთის ნახევარზე მეტი, მთელი აზერბაიჯანი, ბათუმი, ქალაქი ოზურგეთი, ახალციხე და ახალქალაქი. ამ ომით აშკარად გამომჟღავნდა, რომ საგარეო ორიენტაციის საკითხში არ არსებობდა სოლიდარობა კავკასიის შემადგენელ ერებს შორის. მაშინ როცა ქართველები და სომხები სასტიკად ებრძოდნენ თურქების კავკასიაში გაბატონებას, აზერბაიჯანელი მუსავატლები აშკარად მათ სასარგებლოდ მოქმედებდნენ. მცირე და მოუმზადებელმა ქართულმა მხედრობამ მაინც ფიცხელი წინააღმდეგობა გაუწია შემოსეულ მტერს და დაფიქრებისა და მოლაპარაკების სურვილი შთაუნერგა. თურქეთთან წარმოებულ ამ ომში განსაკუთრებით თავი ისახელეს და ქართველი ერის საერთო მადლობა დაიმსახურეს, ამის შემდეგ პირველი ეროვნული გმირის, ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა და სულ ახლად შემდგარმა ქართველ ოფიცერთა ბატალიონმა. ტრაპიზონიდან საზავო კონფერენციამ ბათუმში გადმოინაცვლა. კავკასიის მხრიდან იქ წარმოდგენილი იყო შერეული დელეგაცია შემადგენელ ერების წარმომადგენლების. დელეგაციის თავმჯდომარე იყო აკაკი ჩხენკელი. ბათუმში, მდგომარეობის გასაცნობად გაიწვიეს ნოე ჟორდანია. აშკარად დადასტურდა რა საზავო დელეგაციაში შეურიგებელი პოზიციები საგარეო ორიენტაციის დარგში, საქართველოს წარმომადგენლები მივიდენ იმ დასკვნამდე, რომ შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი იყო კავკასიის სეიმის დაშლა და შემადგენელ ერთა დამოუკიდებელი სახელმწიფოების შექმნა. *22* მაისს ბათუმიდან თბილისში დაბრუნდა ნოე ჟორდანია სწორედ ასეთ გადაწყვეტილებით. მან დაუყოვნებლივ შეკრიბა თბილისის სოციალ-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის და პარტიის აქტივის კრება, გააკეთა ინფორმაცია და წამოაყენა დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადების წინადადება. კრებამ, აზრთა ფართო გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მოიწონა მისი თავმჯდომარის წინადადება, დაავალა ნ. ჟორდანიას ამ საკითხის დასმა საქ. ერ. საბჭოს წინაშე. ამავე კრებაზე გამოიყო ორატორები, რომლებსაც უნდა განემარტათ ეს გადაწყვეტილება პარტიის ადგილობრივ ოგანიზაციებისათვის და საერთოდ საქართველოს მოსახლეობისათვის.

25 მაისს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭო. მან მოისმინა ნოე ჟორდანიას მოხსენება, მოხდა აზრთა ამომწურავი გაცვლა- გამოცვლა, ფარული კენჭისყრით ერთხმად დაადგინა მეორე დღეს საჯაროდ გამოცხადებულიყო საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა. **ეს იყო დამაგვირგვინებელი ნაბიჯი *117* წლის განმავლობაში რუსეთის მიერ მოშლილ საქართველოს სახელმწიფოს მკვდრეთით აღდგომისა.** ამავე კრებამ გამოყო დამოუკიდებლობის აქტის პროექტის შემდგენი კომისია. ასევე სახელმწიფოს დროშის და ღერბის. ვფიქრობ საინტერესო იქნება აქ მოვიყვანოთ აწ განსვენებულ რაჟდენ არსენიძის მოგონება, რომელიც იყო იმ კომისიის წევრი:

„*25* მაისს *1918* წელს, ეროვნულმა საბჭომ, რომელიც საქ. ყველა პარტიების, თვითმართველობების, კულტურული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან იყო შექმნილი, დაადგინა: გამოაცხადოს **საქართველოს დამოუკიდებლობა**, გაიჩინოს საკუთარი მართველობა, რომ მტერს და მოყვარეს გასცეს პასუხი. ამ მიზნით მან გამოყო საკანონმდე-

ბლო კომისია, რომელსაც დაავალა დამოუკიდებლობის აქტის პროექტის დამუშავება. ეს კომი-
სია შეიკრიბა იმავე დღეს, ნაშუადღევს დავიწყეთ მუშაობა. ვჩქარობთ, რადგან ხვალ ეროვ-
ნული საბჭოს სხდომაა, რომელმაც თავს იდვა ამ ისტორიულ აქტის შესრულება. ვჩქარობთ,
მაგრამ არც ის შეიძლება, რომ აქტი არ იყოს მოფიქრებული, სერიოზული, ღირსი თავის
დიად დანიშნულების; გასაკეთებელი კი ბევრია. საჭიროა გამოინახოს ძირითადი მოტივები
რუსეთიდან გამოყოფის, აუცილებელია აქტი შეიცავდეს არსებით პრინციპებს, რომლებზედაც
იქნა აგებული ახალი სახელმწიფო ქართველი ხალხისა; უნდა აღინიშნოს, რომ უფლებები ახ-
ალ დაბადებულ სახელმწიფოს მოქალაქის. უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ ეროვნულ უმცი-
რესობათა უფლებებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებში ცხოვრობენ. და ყოველივე
ეს უნდა ითქვას მოკლედ, მოკრით, მკაფიოდ. ამიტომ თითეული სიტყვა იწვევს დავას, კა-
მათს, აზრთა შეჯახებას; ყოველი ფრაზა ყალიბდება დიდი გულმოდგინებით. ბოლოს ბრძოლა
და ჯახი თავდება მორიგებით, ერთსულოვნებით. რაც მიღებულია მიღებულია ყველასაგან.
განხეთქილებას და გულნაკლებობასაქ, ამ დიდ და გადამწყვეტ მომენტში, არ უნდა დაურ-
ჩეს ადგილი! ამას ვგრძნობთ ყველა, თუმცა ეს ჩვენთვის არავის უკარნახებია... ვიბრძვით
და ვჩქარობთ, **რადგან ოტომანის პორტასაგან 72 საათის ულტიმატუმი გვაქვს წამოყენებული,
რომელსაც ხვალ საღამოზე გაუდის ვადა. ამიერკავკასიას წინააღმდეგობის და პასუხის** გა-
ცემის **უნარი აღარ აქვს: ოტომანის იმპერია კი იარაღით გვადგია თავზე. სამარცხვინო ბრესტ-
ლიტოვსკის ზავით და რუსის ჯარის დაშლით გათამამებული! - ყარსის, ბათომის, არ-
დაგანის ოლქების ჩამოცილებით გვემუქრება...** ვერ დაგვისრულებია შრომა, ვიკრიბებით ნა-
ვახშმევს და ისევ ვმსჯელობთ, ისევ ტექსტის ყოველ აზრს ჩავკირკიტებთ; ხოლო ერ. საბჭოს
ბიურო, მისი პრეზიდიუმი გვიცდის, ელის ჩვენგან შემუშავებულ პროექტს, რომ საბოლოო
ტექსტი მიიღოს და ხვალ საბჭოს წინაშე წარადგინოს. შუაღამეზე ვამთავრებთ პროექტის
დამუშავებას და მაშინვე ორი წევრი - გიორგი გვაზავა და პავლე საყვარელიძე- მიეშურებიან
საბჭოს ბიუროს სხდომაზე. ნაშუაღამებს ბიურო იღებს, ზოგიერთი შესწორებებით, საბოლოო
რედაქციას."

ინტერესს არ იქნება მოკლებული აქვე მოვიყვანოთ ამ მომენტის შესახებ პრეზი-
დენტ ნოე ჟორდანიას მოგონება:
„საჭირო იყო დამოუკიდებლობის აქტის შედგენა და მიღება საბჭოში. გამოვყევით კომისია
ჩემთან ერთად სამუშაოდ ამ საკითხში. მე ვსთხოვე კომისიის წევრს გ. გვაზავას შეედგინა
პროექტი, როგორც იურისტს და მოეტანა ჩემთვის. მან შეადგინა, წავიკითხე, გავოცდი.
სწორ, ნაციონალურ დებულებათა გვერდით იყო წამოყენებული სოციალური რეფორმების და
ბულებები: რვა საათის სამუშაო დღე, მამულების კონფისკაცია და სხვა. საჭირო იყო ერთი
ყველა ქართველისათვის მისაღები ნაციონალური პლატფორმა, საიდანაც უნდა გამოირიცხოს
ყველა გამთიშველი ელემენტები. ამ აზრის თანახმად შევასწორე პროექტი, ამოვაგდე იქი-
დან ყველა კლასიური ხასიათის მუხლები, დავტოვე შესწორებით მხოლოდ ნაციონალურ - პო-
ლიტიკური ხასიათის. ასე შესწორებული წაუკითხე კომისიას. გიორგის ხმა არ ამოუღია,
მაზე დავინახე განცვიფრების და კმაყოფილების ბეჭედი. აღბათ ფიქრობდა - ეს საციმბირო
რევოლუციონერი ჩემზე უფრო ზომიერი აღმოჩნდაო. არ გაემტყუნება. რას გვიცნობდა."

26 მაისს, დილით შედგა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა. სოც. დემ. პარტი-
ის წარმომადგენლების ფრაქციის თავმჯდომარემ-ირაკლი წერეთელმა გააკეთა მოხსენება შე-
ქმნილ მდგომარეობაზე, რომელშიაც მან დაასაბუთა სეიმის დაშლის საჭიროებადა საქართვე-
ლოს დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაუყოვნებლივ აღდგენის საჭიროება. თავის სიტყვაში
ორატორმა სხვათაშორის თქვა:
„შექმნილი მდგომარეობა გვავალებს ქართველ ხალხს ვუთხრათ, რომ ის მარტო დარჩა დათუ
უნდა გადაირჩინოს თავი, დაუყოვნებლივ უნდა გამოაცხადოს დამოუკიდებლობა და შექმნას
თავისი სახელმწიფო ორგანო."

ირ. წერეთლის სიტყვის ირგვლივ გაიმართა ცხოველი კამათი, რაც დამთავრდა
სეიმის დაშლის რეზოლუციით. სეიმის კრება დამთავრდა ნაშუადღევის სამ საათზე.

მთავრობის სასახლის იმავე თეთრ დარბაზში, ნაშუადღევის *4* ს. და *30* წუთზე გახ-
სნა **საქართველოს ეროვნული საბჭოს ისტორიული კრება**, რომელსაც ნოე ჟორდანიამ, საზეი-
მო ვითარებაში წაუკითხა **საქ. დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენის აქტი**:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობის აქტი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი [illegible] ვისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრივ მტრისაგან შევიწროებული საქართველო **თვისი ნებით** შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დასტოვა ამიერ-კავკასია.

დარჩენ-რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერ-კავკასიამ თვით იდვეს თავსა საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალების გავლენით ამიერ-კავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერ-კავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობილი თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქ. ეროვნული საბჭო, *1917* წელს, *22* ნოემბერს არჩეული საქ. ეროვნული ყრილობის მიერ დღეს აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკა არის.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქ. დემ. რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქ. დემ. რესპ. თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოც. მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქ. დემ. რესპ. განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელი კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობას უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე."

ღერბი და ალამი

ამავე კრებას მოხსენდა, რომ დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკის დროშად მიღებულ იყოწითელი ფერის ფონზე, წინა კუთხეში შავი და თეთრი ფერები. ხოლო სახელმწიფო ღერბად: მერანზე ამხედრებული თეთრი გიორგი შუბით გმირავს გველეშაპს.

დამოუკიდებელ საქართველოს პირველი მთავრობა

ბოლოს, ნოე ჟორდანიამ კრებას წაუკითხადა **დამოუკიდებელ** საქართველოს მთავრობის სია: მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი - **ნოე რამიშვილი**, (სოც. დემოკრატი) საგარეო საქმეთა მინისტრი **აკაკი ჩხენკელი**(სოც. დემ.), სამხედრო მინისტრი **გრიგოლ გიორგაძე**(სოც. დემ.), მიწადმოქმედების და შრომის მინისტრი **ნოე ხომერიკი**(სოც. დემ.), იუსტიციის მინისტრი **შალვა მესხიშვილი**(სოც. ფედერალისტი), განათლების მინისტრი **გიორგი ლასხიშვილი**(სოც. ფედერ.), ფინანსთა მინისტრი **კონსტანტინე კანდელაკი**(სოც. დემ.), ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **გიორგი ყურული**(ეროვნულ დემ.), გზათა მინისტრი **ივანე ლორთქიფანიძე**(სოც. რევოლუციონერი).

მინისტრის ამხანაგები:

შინაგან საქმეთა **კონსტანტინე გვარჯალაძე**(ს.დ.), საგარეო **საქმეთა ნიკოლოზ ქარცივაძე**(ს.დ), მიწადმოქმედების და შრომის **პ. გელეიშვილი** და **ი. ფირცხალაიშვილი**(ორივე ს. დ.), იუსტიციოს **გრ. გველესიანი**(ს.ფ.), განათლების **ალექსანდრე მდივანი**(ს.ფ.), გზათა მინისტრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგი **საბაშვილი** (ს.რ.), სამხედრო **გენერალი გიორგი კვინიტაძე** (უპარტიო), ვაჭრობა-მრეწველობის **გიორგი ნიკოლაძე** (უპარტიო).

24 ივნისს მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე ნოე რამიშვილი შეცვალა ნოე ჟორდანიამ, ნ. რამიშვილი დარჩა შინაგან საქმეთა მინისტრად, საგარეო საქმეთა სამინისტრო ჩაბარდა ევგენი გეგეჭკორს, ხოლო აკაკი ჩხენკელი დაინიშნა წარმომადგენლად დასავლეთ ევროპაში.

სახალხო ზეიმი

ეროვნული საბჭოს ისტორიული კრება დამთავრდა საღამოს *5* საათზე და *55* წუთზე. მაშინვე ხელში ეროვნული დროშით, სასახლის ბალკონზე გადმოდგა ირაკლი წერეთელი და შეკრებილთ წაუკითხა დამოუკიდებლობის აქტი, მამადავითზე აიჭრა და ზარებს რეკვა ტრიბუნმა ვლასა მგელაძემ ქვეყანას ამცნო **საქართველოს სახელმწიფოს მკვდრეთით აღდგომა.**

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა შემოსეულ თურქ ჯარების საფრთხის ქვეშ იდგა, სახალხო ზეიმი გვიან ნაშუაღამევამდე გაგრძელდა.

26 **მაისის მამამთავრები**

სოც. დემოკრატები: **ნოე ჟორდანია, ირაკლი წერეთელი, კარლო ჩხეიძე, ნოე რამიშვილი, სილოვან ჯიბლაძე, აკაკი ჩხენკელი, ევგენი გეგეჭკორი, ისიდორე რამიშვილი, გრიგოლ გიორგაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე,** ნოე ხომერიკი, **ვალიკო ჯუღელი, კონსტანტინე კანდელაკი, რაჟდენ არსენიძე, გრიგოლ ურატაძე, იოსებ ელიგულაშვილი, ბენია ჩხიკვიშვილი, კონსტანტინე გვარჯალაძე, პავლე საყვარელიძე, ვლასა მგელაძე, დავით შარაშიძე, ნოე ცინცაძე, ივანე გომართელი, გიორგი ერაძე, გიორგი** (გოგიტა) **ფალავა...**

სოც. ფედერალისტები: **გიორგი ლასხიშვილი, შალვა მესხიშვილი, გრიგოლ გველესიანი, სამსონ ფირცხალავა, გიგო რცხილაძე, სიმონ მდივანი, შალვა ნუცუბიძე, სამსონ დადიანი, აღიოშა წერეთელი...**

სოც. რევოლუციონერები: **ვლადიმერ გობეჩია, ივანე ლორთქიფანიძე, ლეო შენგელია, საბაშვილი, იოსებ გობეჩია, ვანო გობეჩია...**

ეროვნ. დემოკრატები: **სპირიდონ კედია, კონსტანტინე** (კოტე) **აფხაზი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, გიორგი გვაზავა, ალექსანდრე ასათიანი, გიორგი ჟურული, ნიკო ნიკოლაძე, დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი, იოსებ მაჭავარიანი, ალექსანდრე ყიფშიძე, მიხეილ მაჩაბელი, დავით კასრაძე** და სხვები.

უპარტიოები: **გიორგი ნიკოლაძე, გენერალი გიორგი კვინიტაძე** და სხვები

(**რედაქციის შენიშვნა:** ეს სია აღბათ სრული არ არის, ჩვენ განგებ არავინ გამოგვიტოვებია და თუ უცოდნელობით ვინმე გამოგვრჩა შენდობას ვითხოვთ მათ წინაშე.

--- --- --- --- --- --- --- --- ---

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების მოგონება

1918 წლის გაზაფხულზე ქ. ოზურგეთი და მისი მიდამოები, ხანმოკლე და უთანასწორო ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს ოტომანის ჯარებმა. იმ დროს მე მოხალისე ჯარისკაცი ვიყავი მეოთხე ქვეითა პოლკში. მას მეთაურობდა აქ-ემიგრაციაში გარდაცვლილი პატრიოტი პოლკოვნიკი სვიმონ წერეთელი, რომელიც დაგვიანებით შეცვალა ესერმა პოლკოვნიკმა ბიქტორ ინწკირველმა. ჩემი ასეული სოფელ ბახვში იდგა. პოლკის შტაბი კი ნასაკირალზე, ცნობილ მწერალ ქალის საფო მგელაძის სახლში, რომელიც მდინარე სუფსის ველებს გადაყურებდა. ოჩხამურის ბრძოლისა და ბათუმში საზავო მოლაპარაკების განახლების გამო, ოსმალებს სერიოზულად აღარ უცდიათ წინწამოწევა. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ქვეყნიერებას. ათასნაირი ხმები დადიოდა. ამიტომ როდესაც შეეძლებდი ნასაკირალზე მივდიოდი, ახალი ამბების გასაგებად. ბახვში ერთ დღეს ელვის სისწრაფით ხმა გავრცელდა: ნასაკირალზე ჩვენი პოსტების გვერდით გერმანელი ჯარისკაცები დგანანო. ამან ჩვენში უზომო სიხარული გამოიწვია. ავიღე ნებართვა დაწავედი ნასაკირალზე, , რომ ეს სურათი საკუთარ თვალით მე-

Djobadze's Library

ნახა. მართლაც შორიდანვე შევამჩნიე ისინი. შემდეგ სულ ახლოს მივედი . ესენი ოკუპნენ რუსეთის ტყეობაში მყოფი ბავარიელი გამხდარი რეზერვისტები. მათი შეიარაღება ოსმალებს ვერ შეაშინებდათ, მაგრამ ჩვენ მაინც ღრმად ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ ამიერიდან ოსმალები ამ საზღვრებს ვერ გადმოლახავდნენ. **1952** წლის ზაფხულში, აწ გაბნსვენებულ გიორგი კერესელიძესთან ერთად, ტიგენზეში(ბავარიის აღპებში) ერთ მათგანს შევხვდით და მან მეტად თბილად მოიგონა ეს ამბები. ნასაკირალზე შევხვდი გენერალ სოსო გედევანიშვილის რაზმის ერთ ნაწილს, რომელიც სოხუმისკენ მიეშურებოდა, სადაც ოსმალები ცდილან დესანტი გადაესხათ. ჩემი იქ ყოფნის დროს მდინარე სუფსის მარჯვენა მხარე დაიკავა რუს ესერის, ჩვენი მომხრის, ივკოვის ქართულმა ბატალიონმა.

ჩვენ ვიცოდით ზოგადად, თუ რაში მდგომარეობდა ქართველ-ოსმალთა ბათომის საზავო მოლაპარაკება და მისი სიძნელეები, რომელთა დაძლევა შეუძლებლად გვეჩვენებოდა. მოუთმენლად მოველოდით მის შედეგებს. ვიცოდით მათი მოთხოვნით სადგური ნატანები მათ განკარგულებაში გადავიდა. იდგა მაისის მზიანი იშვიათი კარგი დარები. სოფ. ბახვის ნახევარი მოსახლეობა გახიზნულია. და ასეთ დროს მოდის ცნობა **დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ**. ჩვენს სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მართალია ვინც მაშინდელ პოლიტიკურ მდგომარეობაში ჩახედული იყო, ამ მოვლენას მოელოდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელსაც წინა წლების განმავლობაში ამის აღიარებას უწევდნენ, დამოუკიდებლობის გამოცხადება ხალხისათვის მოულოდნელი იყო. ცხადია ხალხს ესაჭიროებოდა ამ დიდ მოვლენის პოლიტიკური, ყოველმხრივი ახსნა-განმარტება. ამის საჭიროებას კარგად გრძნობდა მართველი სოციალ-დემოკრატიული პარტია და მან მართლაც საამისოდ სათანადო ზომები მიიღო. მათმა ცენტ. კომიტეტმა საქ. ყველა მხარეში დაგზავნა მისი გავლენიანი და პასუხისმგებელი ორატორები. გურიას მოევლინენ ანანია საღუქვაძე და ისიდორე რამიშვილი, პირნი მართლაც ამ მიზნისათვის ყველაზე უკეთ გამოსადეგნი. ჩოხატაურსა, ნაგომარსა და ხიდისთავს შორის გამონახეს შესაფერი ადგილი დიდი მიტინგისათვის, სადაც თავი მოიყარეს თავისუფალ ზონაში მყოფ ყველა გურულმა ჯარისკაცებმა. ანანია საღუქვაძეს მე ვიცნობდი შორიახლოს. ოზურგეთის მცხოვრებს, ახალთაობის რიგიან და ზომიერ პოლიტმოღვაწეს, რომელსაც მისი ამხანაგები პატივისცემით ახსენებდნენ. ომის ხანაში, და თუ არ ვცდები მის წინაც, ის იყო მათი ცენტ. კომიტეტის ორგანოს ედიტორიალისტი. ცნობილია იმ ხანებში ქართულ პოლიტპარტიათა შორის სადავოდ და მწვავედ იდგა ეროვნული საკითხის ჰრობლემა. მაშასადამე ჩემთვის საინტერესო იყო თუ როგორ დაასაბუთებდა ის ეროვნულ საკითხში მათ მიერ ეგრე რადიკალურად შეცვლილ პოზიციას. ის არ იყო ისეთი ორატორი, როგორც ეს ჩვენში მაშინ იყო მიღებული. დინჯად მოლაპარაკე, მისი მტკიცების მთავარი დებულება იყო: დადგინდა რა ამიერკავკასიის ერების არასოლიდარობის ფაქტი, ქართველ ერს თავის ფიზიკურ გადარჩენისათვის სხვა გზა არ გააჩნდა გარდა საკუთარ დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. ისიდორე რამიშვილს, სახელმწიფო დუმის ყოფილ წევრს, ნაცემბირალს, გურიის მოსახლეობა დიდიხანია იცნობდა, როგორც თავისუფლების დამცველს და ის მათში დიდი პოპულიარობით სარგებლობდა. მისი მიდგომა, ამ ახალ მდგომარეობისადმი საგრძნობლად განსხვავდებოდა ანანია საღუქვაძისაგან. ორატორულ ნიჭით დაჯილდოებული ისიდორე იშველებდა ისტორიულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ ხასიათის საბუთებს. მან დაიპყრო მსმენელთა გული და გონება თავისი დებულებების დასაბუთებით. მისი სიტყვა გადამჭრელი იყო. ხალხის იმედი, სიხარული და აღტკინება თანდათან მატულობდა და დასასრულს ის იქცა სახალხო ზეიმად. პირადად მე გამონაკლისს არ წარმოვადგენდი, ასეთი სიხარული და აღტაცება მეორედ არ მიგრძვნია **80** წლის განმავლობაში. ხალხმა სრულიად დაივიწყა, რომ გურიის მესამედი კიდევ ოსმალებს რომ ეკავათ.

ამ უდიდეს სიხარულთან ერთად, მე მაინც მაოცებდა ამ ხალხის სულიერი განწყობილების ასეთი რადიკალური ცვლილება. ერთი წლის წინ ამავე აზრების ქადაგებისათვის ჩვენ, სოც. ფედერალისტებს დარბევით გვემუქრებოდნენ და ეხლა კი ისევე აზრები საყოველთაო აღიარებად იქცა. ჩვენ ბედნიერი ვიყავით რომ ჩვენს ნატვრას , ჩვენს ოცნებას, რომელსაც უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ეგრე უანგაროდ და თავდადებულად ვემსახურებოდით, ეხლა ქართველი ერი მთლიანად იზიარებდა. ჩვენ, სოც. ფედერალისტები, ყოველგვარი უკანა აზრის გარეშე, ურეზერვოდ ჩავდექით ქართველი ერის სამსახურში, **ახლად აღდგენილ სახელმწიფოს დასაფუძნებლად.**

1937 წელს, ემიგრაციაში პირველად, ამერიკავკასიის დაშლის, ტრაპიზონის და შემდეგ ბათომში ქართულ-ოსმალურ კონფერენციის და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხებს, ვიქტორ ნოზაძემ უძღვნა თავის ჟურნალ„ ქართლოსში“ მთელი რიგი კრიტიკული წერილებისა. მაშინ, ამ ამბების მონაწილე თუ დამსწრე პირები ბატონ ნოზაძეს უსაყვედურებდნენ, რომ ქართული საქმისათვის საზიანოაო ასეთი ცნობების გამოქვეყნება. მაშინაც არ ვიზიარებდი ამგვარ შეხედულებას ამ საკითხზე. ეხლა კი, როდესაც ამ ამბების შემდეგ სამოცი წელი გავიდა, ეს ამბები ისტორიის და მისი სამსჯავროს კუთვნილებაა.

ნიკოლოზ ურუშაძე.

მანიფესტაციები თბილისში ქართული ენის დასაცავად

ნიუ იორკ ტაიმსის და ფრანს პრესის მოსკოველი კორესპონდენტების ცნობების მიხედვით დასავლეთის თითქმის ყველა პრესის ორგანომ დაბეჭდა ცნობები, რომ პარასკევს *14* აპრილს, თბილისში ადგილი ჰქონდა მასიურ მანიფესტაციას(ზოგი ცნობებით ოცი ათას კაცისა, ხოლო სხვა ცნობებით რამოდენიმე ათასი კაცი), მანიფესტაციას დაიწყო უნივერსიტეტთან, მასში უმთავრესად მონაწილეობდნენ სტუდენტები და მასწავლებლებ-პროფესორები. მანიფესტანტებმა ჩაიარეს მთავარი ქუჩები და მიადგენ საქ. კომპარტიის ცენტ. კომიტეტის შენობას, სადაც პირადად ედუარდ შევარდნაძეს გადაცეს მოთხოვნა, რათა საბჭ. საქ. ახალ კონსტიტუციაში შეტანილი ყოფილიყო, ისევე როგორც წარსულში იყო, რომ:„საქ ს.ს.რ-ის ოფიციალური ენა არის ქართული ენა.“ შემდეგ მიღებული ცნობების მიხედვით: შევარდნაძე გამოვიდა ბალკონზე მანიფესტანტების დასაწყნარებლად. მან განაცხადა, რომ ახალ კონსტიტუციის პროექტიდან ამ მუხლის ამოღება შეცდომა იყო და დაჰპირდა მანიფესტანტებს, რომ მათი მოთხოვნა შესრულებული იქნებოდა.

ჯერ კიდევ მანიფესტაციის დაწყებამდე, უცნობმა პირებმა თბილისიდან ტელეფონით გააფრთხილეს მოსკოვში მყოფი დასავლეთის კორესპონდენტები და აკადემიკოსი ან. სახაროვი. შემდეგ დღეებში თბილისიდან ჩამოსულმა მგზავრებმა უფრო დააზუსტეს ცნობები. მანიფესტაციების მოწმეებს შორის აღსანიშნავია ორი ამერიკელი იურისტი მეტრ მაკე და მეტრ რეიმან, და ერთიც ფრანგი კათოლიკე ბერი.

სარწმუნო წყაროების მიხედვით, ხელისუფლებამ თბილისში შეიყვანა სამხედრო ნაწილები და ცეცხლისმჭრობელი რაზმების ავტომობილები, მაგრამ დემონსტრაციის სრული მშვიდობიანი ხასიათის გამო რეპრესიებს ადგილი არ ჰქონებია.

ზოგიერთი ცნობების მიხედვით, თბილისის ქუჩებში მეორე დღესაც შეიმჩნეოდა ადამიანთა დიდ-დიდი შეჯგუფებები.

სამაგიეროდ საქ. შინაგან საქმეთა მინისტრმა კეთილაძემ, დასავლეთის კორესპონდენტებთან ტელეფონით საუბარში, გადაჭრით უარყო მანიფესტაციის ფაქტი. მან თქვა, რომ ასეთი ცნობა წარმოადგენს პროვოკაციასო და რომ პირიქით ქართველი ახალგაზრდობა ზეიმობს ახალ კონსტიტუციის მიღებასო.

14 აპრილიდან მოყოლებული, რამოდენიმე დღის განმავლობაში თბილისი და საქართველო მოწყვეტილი იყო გარეშე სამყაროს. *13* და *14* აპრილის გაზეთები დასავლეთში ათი დღის დაგვიანებით მივიღეთ, რაც უდავოდ მოწმობს თბილისის ფოსტის არაჩვეულებრივ მდგომარეობას.

15 აპრილის გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილია ედ. შევარდნაძის მოხსენება წარმოთქმული საქ. უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიაზე, სადაც სხვათაშორის ის ამბობს: „განხილვის დროს დიდი ყურადღება მიიბყრო პროექტის *75*-ე მუხლმა, რომელიც ახალი რედაქციით იყო ჩამოყალიბებული. **ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ ამ მუხლის შესახებ, ბევრი ვითათბირეთ; არა ერთი და ორი საგულისხმო წინადადება შემოვიდა ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ ჩავატარეთ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა მუშებს, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის წარმომადგენელთა შორის, ჩვენ შევისწავლეთ საზოგადოებრივი აზრი სტუდენტობაში, საერთოდ ახალგაზრდობაში.** საქ. **კომპარტიის ცკ. კომიტეტი , საკონსულტაციო კომი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია, ხელმძღვანელობენ რა მემკვიდრეობითობის პრინციპით და გამოდიოდნენ რა ჩვენი საზოგადოებისა და კონსტიტუციის დემოკრატიული ბუნებიდან, ამ სესიისათვის მზადშიმ. ... რიოდში, კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების გათვალისწინებით მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მიზანშეწონილია შევინარჩუნოთ მოქმედი კონსტიტუციის ცნობილი ფორმულირება, **რომელიც ქართულ ენას სახელმწიფო ენად აცხადებს...“**

საბოლოოდ ეს 75-ე მუხლი შემდეგნაირად იქნა ჩამოყალიბებული:

„ საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა. საქ. სს რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველმხრივი განვითარებისათვის და უზრუნველყოფს მის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურის, განათლებისა და სხვა დაწესებულებებში.

საქართველოს სს რესპუბლიკის ამ ორგანოებსა და დაწესებულებებში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.“

იგივე მუხლი კონსტიტუციის პროექტში, რომელიც 24 მარტს გამოქვეყნდა, და რომელმაც საპროტესტო დემონსტრაციები გამოიწვია, შემდეგნაირად იყო ფორმულირებული:

„ საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქ. სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება.“

კახა ქალივით, ედუარდ შევარდნაძე ფიცავს,რომ ქართველი ხალხის აღშფოთებამ ქუჩებში გამოსულმა მანიფესტანტებმა აიძულეს დათმობაზე წასულიყო, მაგრამ მახათი მეშოკში არ დაიმალა და სხვაც რომ არაფერი ვიცოდეთ, მისი(შევარდნაძის) ზევით მოტანილი კოკლი დიალექტიკაც საკმარისია, რომ ის კაცმა ტყუილში დაიჭიროს. აშკარაა თბილისის მანიფესტაციების შესახებ დასავლეთში გავრცელებული ხმები სიმართლეა.

ეს მანიფესტაციები და მისი შედეგები ორმაგად საინტერესოა. ჯერ ერთი, ქართული ენის ხმარების საკითხი მეტად მტკივნეულად დგას ამჟამად საქართველოში და ამ საკითხში ყოველ წარმატებას ან მარცხს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. კონსტიტუციაში მიღწეული ნაწილობრივი წარმატებაც კი დიდი იმედის მომცემია. დაბოლოს, ის აშკარად მეტყველებს ქართველი ხალხის, მისი ახალგაზრდობის დიდ პოლიტიკურ სიმწიფეს.

შევარდნაძის და მისი ხაზეინების ეს დათმობა, საბოლოო გამარჯვებად არ უნდა ჩაითვალოსდა თავი უზრუნველობას არ უნდა მიეცეს. პირიქით, საჭიროა ეროვნული სიფხიზლის კიდევ მეტად გამახვილება, მითუმეტეს, რომ ახალი კონსტიტუციის შევარდნაძისეული ფორმულირება ქართული ენის გამარჯვებას, მეტი თუ არა, საეჭვოდ ხდის.

საქართველოს სახელმწიფო ენა ქართული ენაა

მაშასადამე, 75-ე მუხლის შესავალში ნათქვამია: „საქ. სსრ-ს სახელმწიფო ენა **არის ქართული ენა“.** რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ საქ რესპუბლიკის საზღვრებში მხოლოდ ერთადერთი ენის ცოდნაა სავალდებულო და აუცილებელი და ეს ენა არის ქართული ენა.სხვანაირად ეს ნიშნავს, რომ საქ. რესპუბლიკაში სახელმწიფოს და საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ქალაქებისა და სოფლების საწარმოო კოლექტივებში სამუშაო ენა არის ქართული ენა, რესპუბლიკის ფარგლებში მცხოვრებ სხვადასხვა ხალხების ურთიერთობის ენა არის ქართული ენა. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ამაზე ლაპარაკი ზოგიერთს შეიძლება **ზედმეტადაც მოეჩვენოს, მაგრამ საბჭოების ხელისუფალთა სიტყვებსა და საქმეებს შორის ხშირად უფსკრულები არსებობენ,** ისინი სიტყვებს განგებ უკარგავენ თავიანთ ძირითად **მნიშვნელობებს,** ან დაპირისპირებულ გამოთქმებით ქმნიან გაურკვევლობას, რომ შემდეგ ისე მოიქცნენ, როგორც ეს მათ ხელს აწყობთ. სწორედ ასეა შედგენილი ეს მუხლი, მისი მეორე ნაწილი ამბობს: „საქ. სსრ-ში უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული და სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს. რაიმე პრივილეგია ან შეზღუდვა ამა

თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვებაო." ცხადია, ეს წინადადება სრულ წინააღმდეგობაშია ამავე მუხლის პირველ წინადადებასთან, რომელიც სამართლიან უპირატესობას ანიჭებს ქართულ ენას. სწორედ ეს იყო მიზანი ახალი კონსტიტუციის: მოსპობა საქართველოში ქართული ენის უპირატესობისა. ქართველების მტკიცე წინააღმდეგობამ ხელისუფლება აიძულა დაეთმო, მაგრამ იეშმაკა და საკითხი ორჭოფულად დატოვა. ვინ ისარგებლებს კონსტიტუციის ამ ორაზროვნებით? ცხადია, ის ვინც იქნება უფრო ძლიერი.

გ- ჭალელი.

--- --- --- --- --- --- --- --- ---

ბრეჟნევის კონსტიტუცია

ისევ და ისევ პროპაგანდა

პროპაგანდა, ეს ალბათ ერთადერთი დარგია, რომელიც განსაკუთრებულად ჰყვავის საბჭოთა კავშირში. საბჭოთა პროპაგანდა თავისი ხელობის ვირტუოზია. მას თვალის დაუხამხამებლად შეუძლია მკვდარი ცოცხლად წარმოადგინოს და მახინჯი სილამაზის დედოფლად. აბა, რა გასაკვირია თუ ამ პროპაგანდის წყალობით ასეთი გახმიანება ხვდა წილად საბჭოების ახალ კონსტიტუციას, როგორც შიგნით, ისე საზღვარგარედაც. ივნისის დასაწყისიდან მოყოლებული, სამი თვის განმავლობაში, მთელს საბჭოთა სამყაროში გამარჯვების ხმებზე ჩატარდა სემინარები, კრებები, მიტინგები, როლებზედაც ხოტბას ასხამდნენ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ, ყველაზე პროგრესიულ კონსტიტუციას და მის შემოქმედს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. სინამდვილეში, ამ სამი თვის განმავლობაში, ეს ახალი კონსტიტუცია გახდა მშრომელთა დარაზმვის, მათი უმოწყალო ყვლეფის კიდევ ერთი მიზეზი და საშუალება.

კონსტიტუციის სიავკარგე

საბჭოთა დიქტატორების მიერ კონსტიტუციის პატივისცემა, მისით ხელმძღვანელობის ამბავი კარგად არის ცნობილი წარსულში. სტალინი სწორედ წინააღმდეგს ჩადიოდა, რაც მის კონსტიტუციაში ეწერა. არც ბრეჟნევია გამონაკლისი, ასი ათასობით ციხეებში და სპეციალურ საგიჟეთებში მყოფი უდანაშაულო პატიმრებიც რომ არ ვახსენოთ, კონსტიტუციის მიმართ მის დასახასიათებლად ნიკოლა პოდგორნის გაქრობის და მისი თანამდებობის დაკავების მაგალითიც საკმარისია.

ზვიად გამსახურდიას დამცველმა ფრანგმა, ფრანსუა მორეტმა, საბჭოების მართლმსაჯულება სავაჭრო მაღაზიის ვიტრინას შეადარა:„სადაც გამოფენილია საუცხოო საქონელი, მაგრამ მისი მსგავსი მაღაზიაში არ მოიპოვება". დიახ, საბჭოთა მესვეურები საერთაშორისო აზრის მოსატყუებლად ცდილობენ საბჭოთა ვიტრინაში გამოფინონ რაც შეიძლება დემოკრატიული, სოციალური და ინტერნაციონალური კონსტიტუცია, ხოლო თვით კი ხელმძღვანელობენ სატანკო დივიზიებით, კაგებეს მაუზრებით და გულაგის არქიპელაგებით.საქვეყნოდ ცნობილია, რომ დისიდენტებად წოდებული საბჭოთა მორცხვი ოპოზიციონერები სხვას არაფერს მოითხოვენ, გარდა იმისა რომ საბჭოთა მთავრობა საბჭოთა დაწერილი კანონის მიხედვით მოქმედებდეს. ქვეყნიერებამ ისიც კარგად უწყის თუ რა გემრიელი ნაზუქებით უმასპინძლდება მათ საბჭოური „მართლმსაჯულება".

თუ ეს ასეა მაშ რაღა მნიშვნელობა აქვს კონსტიტუცია ცუდია თუ კარგი, პროგრესიული თუ რეაქციონური? არაფერი! სრულიადაც არაფერი!

ჩიტი ბრდღვნად არ ღირდა

ბრეჟნევის და სტალინის კონსტიტუციების შედარებისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ ძნელი არ არის აღმოჩენა, რომ განსხვავება უმთავრესად სიტყვებში, ტერმინებში მდგომარეობს, რომ განსხვავება კონსტიტუციის ფორმას ეხება და არა მის შინაარს. მაგალითად ახალში მუშების და გლეხების დეპუტატთა საბჭოები აღარ იხმარება, არამედ სახალხო დეპუტატთა საბჭოები. პროლეტარიატის დიქტატურაზე ახალში აღარაფერს ამბობენ და სხვა. ძველ კონსტიტუციასთან განსხვავება, რომ უფრო თვალსაჩინო გახადონ, განგებ ახალში მუხლები გადანაცვლებულია და ეს ზოგიერთ შემთხვევაში გვარიანადაც. მაგალითად, ძველში კომპარტიის ბატონობას განსაზღვრავს **126** მუხლი, მაშინ, როცა ახალ კონსტიტუციაში იგივე ამბავს მეექვსე მუხლი გვამცნობს. ხშირად თვით მუხლებშიაც წინადადებები გადაადგილებულია, ან იგივე აზრი სხვა სიტყვებით არის გამოთქმული.

ასეთ წვრილმანობებს(*mesquiner ie*) თუ მხედველობაში არ მივიღებთ,ახალი-ბრეჟნევური

კონსტიტუცია ტუუპის ცალივით ჰგავს ძველს-სტალინურს. ასეთი მცირე ცვლილებების შეტანა ძველშიაც შეიძლებოდა და მისი გამოცვლა და ამდენი ხმაური , სრულებითაც გამოსადეგი არ არის. სწორედ ასეთ შემთხვევაზე იმერეთში იტყვიან: ჩიტი ბდღვნად არ ღირდაო.

დიამეტრალური წინააღმდეგობა

მუხლი *2* გვარწმუნებს: „სსრკ-ში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის. ხალხი სახელმწიფო ხელისუფლებას ახორციელებს სახალხო დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, რომლებიც სსრკ-ის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. ყველა სხვა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.“ კეთილი და პატიოსანი, ამ მუხლს წყალი არ გაუვა, მაგრამ იქვე სულ ახლოს მუხლი *6* ამბობს: „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭ. კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისთვის არსებობს და ხალხს ემსახურება. მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული, კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, სსრკ-ის საშინაო და საგარეო პოლიტიკის გეზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობით საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის. ყველა პარტიული ორგანიზაცია მოქმედებს სსრკ-ის კონსტიტუციის ფარგლებში.“

ამ მუხლის კითხვიდან უდავოა, რომ სსრკ-ში მთელი ძალაუფლება ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატების საბჭოს კი არ ეკუთვნის, არამედ კომუნისტურ პარტიას. სინამდვილეში, ყველამ იცის, რომ ძალაუფლება არც კომუნისტურ პარტიას ეკუთვნის, არამედ მის ცენტრალურ კომიტეტის პოლიბიუროს, რომლის წევრების შერჩევა განუკვრეტელი ბურუსით არის გარშემორტყმული. მიუხედავად ასეთი რეალური მდგომარეობისა, კონსტიტუციაში დაშვებულმა ასეთმა წინააღმდეგობამ არ შეიძლება მუდმივად იარსებოს, ის უნდა შეიცვალოს ან ერთი ან მეორე მიმართულებით. მართალია კონსტიტუციის ასეთი ორჭოფობა არგია საბჭოთა პროპაგანდას, მაგრამ ამ იარაღის ორივე მხარე მჭრელია და გარკვეულ მომენტში კონსტიტუციის ასეთი ორჭოფობა შეიძლება საბაბი გახდეს საჭოთა რეჟიმის საბედისწერო კრიზისის.

ბ. წერეთელი

ქართული თვითგამოცემა და მათი ავტორები

წინა ნომერში ამ სათაურით მე შესავალი გავუკეთე საქართველოდან მოსულ თვითგამოცემებს, რომელშიც შევეხე მათ ავტორებს , ისინი ამავე დროს არიან დღეს საქართველოში ე.წ. **დისიდენტები.** გამსახურდიას და კოსტავას დაპატიმრების წინ, კაგებემ პრესაში გააჩაღა კამპანია მათ წინააღმდეგ და სხვა ბრალდებათა შორის ისინი დაანაშაულეს საზღვარგარეთ მცხოვრებ პოლ. ემიგრაციასთან ურთიერთობისათვის. მე უკვე აღვნიშნე, რომ როგორც ქართველი პატრიოტები, ჩვენ და მათ შორის უეჭველად არსებობს ურთიერთ სიმპატიები და თანაგრძნობა. ყოველ შემთხვევაში ჩვენი მხრიდან ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს ხომ არავის შეუძლია მათ უსაყვედუროს? თუ ემიგრაციასთან კავშირის ბრალდებას წაუყენებდნენ, ამაში იგულისხმებოდა, რომ ისინი ასრულებდნენ ანტისაბჭოთა ემიგრაციის დავალებებს თავიანთ საქმიანობაში. მე ჩემს თავს ნება მივეცი და ვთქვი, რომ ასეთი ბრალდება უსაფუძვლო იქნება, რადგანაც ამ უკანასნელ ათ წელიწადში ემიგრაციაში არ არსებობს ისეთი ქართული პარტია ან ორგანიზაცია, რომელიც რაიმე პოლიტიკურ ხასიათის დავალებას მიცემდა საქართველოში მცხოვრებ თანამემამულეს და ყველაზე უკეთ ეს ამბავი კაგებემ უნდა იცოდეს.

ამის გარდა საჭიროა ითქვას შემდეგიც: ადამიანის უფლებებისა და ევროპის უშიშროების კონფერენციის საბოლოო აქტის დამცველებსა და ქართულ ეროვნულ ემიგრაციას შორის პოლიტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს. საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ჩვენი და მათი მიდგომა დიდათ განსხვავებულია. ჩვენ გამოვდივართ ერთ ძირითად დასკვნიდან: სრულიად უმიზეზოდ საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა ჩვენს ქვეყანას, დაღვარა უმანკო მამულიშვილების სისხლი, დაიპყრო ქვეყანა და მონად აქცია ქართველობა. ამით მან

ჩაიდინა უპატიებელი დანაშაული. ქართველი ხალხი არასოდეს არ შერიგებია ამ უსამართლობას, ამ ძალმომრეობას, არც შეიძლება რომ შეურიგდეს. ჩვენი მიზანია საბჭოთა ტირანიის დამხობა, რადგანაც ვიცით: უამისოდ ჩვენი ქვეყნის ხსნა შეუძლებელია.

გამსახურდია-კოსტავა-რცხილაძე და სხვა მათი თანამზრახველები კი იმეორებენ სახაროვის, ტვერდოხლებოვის და ჭალიძის ადამიანის უფლებების მოსკოვის კომიტეტის პრინციპებს, რომლებიც არავითარ შემთხვევაში პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებენ, და ამას ისინი თავად ხაზგასმით აღნიშნავენ. ერთი სიტყვით, ისინი არ გმობენ რეჟიმს და ბრძოლას არ უცხადებენ მას. ეს თეორია მარტივად ასე გამოითქმება: საბჭოების ტირანიას ბრძოლა კი არ უნდა გამოეცხადოს არამედ დავეხმაროთ სწორ გზიდან გადამცდარი იქნებ ისევ შემოვაბრუნოთ, გაველურებული პირუტყვის მოსაშინაურებლად შაქარი და დაწრუპუნება უმჯობესიაო. ამის მსგავსი თეორიები წარსულშიაც არაერთი იყო, მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა გაფთრებულ ურჩხულს ათეული მილიონობით ადამიანი ემსხვერპლა და თანაც ყველა ის მშვიდობიანი ევოლუციის მქადაგებლებიც მიეყოლებია. დღეს-დღეობით მხოლოდ სახაროვი გადაურჩა მის მსახვრელ ხელს, მაგრამ მასაც სამში ერთი არ აცდება: ან საჯაროდ მოანანიებენ მის „შეცდომებს", ან გულაგის არქიპელაგში ამოხდიან სულს, ან არა და, როგორც სოლჟენიცინს, მასაც სამშობლოდან გამოაძევებენ.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ხალხის სიბრძნეს: „არ გათეთრდება ყორანი რაც უნდა ხეხო ქვიშითაო". მგელი მგლობას არ მოიშლის და ვინც საწინააღმდეგო ილუზიებს უღვივებს ხალხს, ის მათ ცუდ სამსახურს უწევს.

რედაქტორი

მ ო კ ლ ე დ დ ი დ ა მ ბ ე ბ ზ ე

საქართველო • 1977 წელი

დაღესტანში, ავარეთში, მოხდენილ გათხრების დროს აღმოაჩინეს დიდძალი ქართული მატერიალი. ისინი საშუალო საუკუნოებს განეკუთვნებიან. აღმოჩენილია ქართული ხელნაწერები, ჯვრები, ქრისტიანული ტაძრების ნანგრევები, ძველი ქართული წარწერები, ქვის და ხის ჩუქურთმები და სხვა.

--- --- --- --- --- ---

15 იანვარს გარდაიცვალა **ვლადიმერ**(ლადო) **დავითის-ძე გრიგოლია**, გამოჩენილი მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

--- --- --- --- --- ---

იანვარში სახელგანთქმულ მხატვარს **ლადო გუდიაშვილს** *80* წელი შეუსრულდა.

--- --- --- --- --- --- ---

მარტი. საქ. მასწავლებელთა მეოთხე ყრილობა. საქ. განათლების მინისტრმა, ოთარ ქინქლაძემ სხვათაშორის თქვა: „საქ. სულ არის *3855* დაწყებითი, რვაწლიანი, საშუალო ზოგადსაგანმანათლებო სკოლა, სადაც ერთ მილიონზე მეტი ბავშვი სწავლობს. აქედან, *230* ათასი მოსწავლე მეცადინეობს ავარიულ, სკოლისათვის ყოვლად შეუფერებელ შენობებში. ჩვენი სკოლების *70* პროცენტს არ გააჩნია სპორტიული დარბაზი. სპორტსკოლების *86* პროცენტს კი საერთოდ არ აქვთ სპორტული ბაზა. ბევრ სკოლებში, კერძოდ თბილისის სკოლებშიაც, დიდი სივიწროვეა. არ არის სასწავლო კაბინეტების მოწყობის ელემენტარული შესაძლებლობები. კიდევ უარესი მდგომარეობაა სოფლად, სადაც ბევრ სკოლას არ გააჩნია ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის კაბინეტები". მინისტრი დიდი ხნით შეჩერდა მოზარდ თაობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდის, მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობის და კლასობრივ შეგნების ჩამოყალიბების, საბჭოთა პატრიოტიზმის და ინტერნაციონალიზმის, სოციალისტური სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის ჩანერგვის საკითხებზე.."

--- --- --- --- --- ---

მაისში: მექსიკის საერთაშორისო ფესტივალზე დიდი წარმატება ხვდა წილად რუსთაველის სახელობის თეატრს. ქართულმა თეატრმა მექსიკელებს წარმოუდგინა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი" და ბრეხტის „კავკასიური ცარცის წრე".

--- --- --- --- --- ---

ივნისი. ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილმა რუსულად გამოსცა მოგონებების წიგნი, რომელიც შემდეგ ქართულად უთარგმნიათ. მაპატიოს შახმატის დედოფალმა, მაგრამ პატრიოტიზმს ვერ მოვუწონებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივნისი. უმაღლეს სასწავლებლებში მიღების დროს აბიტურიენტებს ევალებათ სიმწიფის მოწმობასთან ერთად ადმინისტრაციას წარუდგინოს დახასიათება წარმოებიდან ან სკოლიდან. აქედან ვგებულობთ, რომ სამოცი წლის შემდეგ, საბჭოებში კვლავაც დისკრიმინაცია არსებობს უმაღლესი განათლების მიღების დარგში.

--- --- --- --- --- ---

გიორგი ნატროშვილის სიბრძნე: „ინტერნაციონალიზმი და საბჭოთა პატრიოტიზმი ჩვენი საუკუნის, ჩვენი დროის, სოციალისტური რევოლუციის ეპოქის, ოქტომბრის საუკუნის იდეალოგიაა... მისი სათავე და საწყისები შორეულ წარსულიდან მოდის. ეს ფესვები ყოველთვის ისეთი მტკიცე და მძლავრი იყო, რომ მარტო მხატვრულ ქმნილებებში კი არ აისახა, არამედ ისეთ ოფიციალურ მატიანეშიც, როგორიც არის „ქართლის ცხოვრება“.(გაზ. „კომუნისტი“ 5.7.77)

იქნებ ზოგიერთი მკითხველი არ იცნობდეს ბატონ გ. ნატროშვილს. იგი გახლავთ საბჭოთა საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო „მნათობის“ მთავარი რედაქტორი.

--- --- --- --- --- --- ---

ივლისი. ქუთაისში გაიხსნა **ოპერის თეატრი.** პრემიერად წარმოადგინეს კომპოზიტორ გიორგი ჩლაიძის ოპერა „დარისპანის გასაჭირი“.

--- --- --- --- --- --- ---

ელგუჯა მაღრაძეს 50 წლის იუბილე გადაუხადეს. ის გახლავთ „საბჭოთა საქართველოს“ გამომცემლობის დირექტორი. ამ იუბილესთან დაკავშირებით, საქ. მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ, გრ. აბაშიძემ მრავლისმეტყველი სიტყვები მიუძღვნა: „ვისაც გამომცემლობასთან ყოველდღიური ურთიერთობა აქვს კარგად იცის, თუ რა ძნელია კმაყოფილი გყავდეს მწერლობის უდიდესი ნაწილი, როცა საგამონცემლო საშუალებები განსაზღვრულია და ყოველთვის არც საკუთარი გემოვნებისა და შეხედულების მიხედვით მოქმედებისათვის გაქვს ასპარეზი. მაგრამ ასეთ პირობებშიც ელ. მაღრაძე ახერხებს ჩვენი ლიტერატურის დაცვას...“

--- --- --- --- ---

აგვისტოს მეორე შაბათობით ვაჟა ფშაველას სოფელ ჩარგალში ყოველწლიურად იმართება დღესასწაული- ვ ა ჟ ა ო ბ ა.

--- --- --- --- --- --

სექტემბერში ნიუ იორკში გამოვიდა ვეფხისტყაოსნის ახალი პროზაული თარგმანი ინგლისურად, პირდაპირ ქართულ ტექსტიდან თარგმნილი ბატონ **რობერტ სტივენსონის** მიერ. წიგნს დართული აქვს მთარგმნელის და პროფესორ ალ. ბარამიძის ვრცელი განხილვანი.

--- --- --- --- --- --- ---

კიდევ ერთი მსხვერპლი

წვრილმანი სპეკულაციისათვის ქუთაისში დაჰატმრეს სოფ. კულაშში მცხოვრები ებრაელი **ისაკ ელაშვილი.** გამოძიების დროს ის ისე აწამეს, რომ ცნობა დაჰკარგა და , როცა საავადმყოფოში მიიყვანეს ის უკვე გარდაცვლილი იყო. განსვენებული 23 წლის იყო, დარჩა ახალგაზრდა ცოლი და სამი უსუსური ბავშვი. („აღია საქართველოდან“ 25.11.77.)

--- --- --- --- --- --- ---

ვეფხისტყაოსანი ინგლისურად

ნოემბერში ვეფხისტყაოსანის კიდევ ერთი თარგმანი მიიღეს ინგლისური ენის მკითხველებმა. მთარგმნელი გახლავთ პროფ. დევიდ მ. ლანგის მოწაფე ქალბატონი **ქეთრინ ვივიანი.** ეს არის ვ.ტ-ის რიგით მეოთხე თარგმნი ინგლისურად, წარმოადგენს თავისუფალ თარგმნას: ზოგი ადგილი შემოკლებულია, ზოგიც განვრცობილი. შესავალი და დაბოლოება შესრულებულია ლექსად, დანარჩენი პროზად.

ვ.ტ. პირველად ინგლისურად თარგმნა ქალბატონმა მარჯორი სკოტ უორდროპმა, შემდეგ ბ-მა რობერტ სტივენსონმა, ორივემ პროზად, ხოლო ლექსად გარდათქვა ქ-მა ვენერა ურუშაძემ.

--- --- --- --- --- ---

ენციკლობედისტების თათბირი თბილისში

22 ნოემბერს თბილისში დაიწყო კავკასიის ერების და მათი ხაზეინ რუსების ენციკლოპედიების რედაქციების წარმომადგენლების თათბირი. სოვეტსკაია ენციკლოპედიის სამეცნიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო-სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ პროფ. ს. კოვალიოვმა ბალ-კეთა მოხსენება: „ ენციკლოპედიური გამოცემების იდეურ-თეორიული და მეცნიერული-ისტორიული ამაღლების ამოცანები.“ ენციკლოპედიების გამოშვებულ ტომებში დაშვებული ყოფილა „უზ-უსტობანი“ და ადგილი ჰქონებია „სიძნელეებს“. რუსი უფროსი ძმა დაარიგებს და იქნებ ყურებიც აუწიოს ირაკლი აბაშიძეს და მის რედაქციას.

--- --- --- --- --- --- ---

ირაკლი აბაშიძე: „საბჭოთა კავშირი ერთადერთი სახელმწიფოა, სადაც ადამიანის უფლებები კონსტიტუციაშია ჩაწერილი და საქმითაც ხორციელდება.“(„კომუნისტი“ *11.12.77.*)

--- --- --- --- --- ---

ილია ვეკუას გარდაცვალება

ორ დეკემბერს, *70* წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრე-ზიდენტი **ილია ვეკუა.** ექვს დეკემბერს მისი ცხედარი მიაბარეს მთაწმინდის პანთეონს.

--- --- --- --- --- ---

ახალი პრეზიდენტი

ედუარდ შევარდნაძის წინადადებით, საქ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩეულ-იქნა **ევგენი ხარაძე.** ევგენი ხარაძე იყო საქ. მეც. აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ის არის ასტრონომიული მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში, აბასთუმანის ასტრო-ფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი დღიდან დაარსებისა, თბილისის უნივერსიტეტის ასტრონომიული კათედრის გამგე, წლების განმავლობაში თბილისის უნივერსიტეტის რექტორი და სხვა.

--- --- --- --- --- ---

ნიკო კეცხოველის იუბილე

დეკემბერში დაბადებიდან *80* წელი შეუსრულდა აკადემიკოს **ნიკო კეცხოველს.** გამოჩენილი ბოტანიკოსი და საზოგადო მოღვაწე, თბილისის უნივერსიტეტის რექტორი *1945-53* წლებში, ნიკო კეცხოველი ნიჭიერი მწერალია. მის ნაწერებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „მორბის არაგვი არაგვიანი“ და „არსიანიდან მოვდივარ, მომიხარია.“

--- --- --- --- --- ---

ვასილ ამაშუკელის გარდაცვალება

93 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს კინოს პიონერი **ვასილ ამაშუკელი.** მისი გადაღებულია უკვდავი ფილმი „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში.

--- --- --- --- --- ---

ძლიერი მიწისძვრა საქართველოში

ა.წ. ორ იანვარს, ათ საათზე, *31* წუთზე და*38* წამზე ადგილი ჰქონდა ძლიერ მიწისძვრას, რომლის ეპიცენტრი მდებარეობდა ჯავახეთის ზეგანზე, დმანის-წაღკის დასახლებულ რაიონში. *60* კმ. თბილისიდან. მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრე აღწევდა *6-7* ბალს რიხტერით. ოფიციალური სააგენტოს ცნობით: სრულიად დაინგრა *400* ნაგებობა. მათ შორის ოთხი სკოლა, რაიონული საავადმყოფო; სერიოზულად დაზარალდა *2000* ნაგებობა. მათ შორის, *14* სკოლა, ნაწილობრივ დაზიანდა *5570* ნაგებობა. მათ შორის, ათი სავაჭრო მაღაზია, ორი კავშირგაბმულობის შენობა, ორი საბჭოთა მეურნეობის ადმინისტრაციის სახლი, ორი „საქსოფლტექნიკის“ შენობა, *55* პირუტყვის სადგომი, *33* საწყობი და სხვა.

ჩვენ გაგვაოცა ხელისუფლების გულცივობამ ასეთი დიდი უბედურების მიმართ. არცერთი კორესპონდენცია არ ყოფილა პრესის ფურცლებზე, არავითარი სოლიდარობის გამოვლენებას ადგილი არ ქონებია საკავშირო მაშტაბით, მსოფლიოზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, მაშინ, როდესაც მსგავსი მოვლენების დროს თურქეთში ირანში თუ სამხრეთ ამერიკაში მთელი მსოფლიო გამოეხმაურება ხოლმე და სერიოზულ დახმარებებსაც უჩენენ დაზიანებულ მოსახლეობას. თუ ეს სოლიდარობა საქართველოსთვის არ არსებობს ამის სრული პასუხისმგებლობა ' საბჭოთა ხელისუფლებას ეკისრება, რომელიც კრძალავს ასეთი ამბების ფართოდ გაშუქებას. მთელი ჩვენი სიმპატიები მიმართულია მშობლიური ჯავახეთის დაზარალებულ მცხოვრებლებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოების შესახები

ივლისი. ინგლისის კომუნისტური პარტია ორად გაიყო: პრო-საბჭოურად და დამოუკიდებლად.

--- --- --- --- ---

ჰელსინკის ხელშეკრულების დაცვის მოსკოვის ჯგუფის წევრს **მალვა ლანდას** მიესაჯა ორი წლით ციმბირში გადასახლება.

--- --- --- --- --- ---

შავი ბაზარი

ილია ზემცევი იყო პროფესორი ბაქოს ლენინის სახელობის ინსტიტუტში. *1973* წელში ის გადასახლდა ისრაელში. გასულ წელს ფრანგულმა გამომცემლობამ „აშეტმა“ გამოცა მისი წიგნი სათაურით **„კორუფცია სსრკ-ში“**. ამ წიგნში ავტორი იშვიათი გონებამახვილობით გადმოცემს საბჭოთა კავშირის ყოფას. ავტორის მიხედვით, *50000* მანეთად შეიძლება კაცმა იყიდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის თანამდებობა. ოფიციალური მონაცემებით ფარული წარმოება, თურმე, უშვებს *28* მილიარდის პროდუქციას მთელ საბჭ. კავშირში, ხოლო ამიერკავკასიაში *18* მილიარდისას. აზერბაიჯანის ერთი ფაბრიკა ოფიციალურად ამზადებდა *10000* ქაღის კორსაჟს, **სინამდვილეში** კი *100000*. ზემცევის მიხედვით, ხელისუფლებამ იცის ეს ამბები, მაგრამ თვალებს ხუჭავს, რადგანაც ეშინია, რომ საქონლის კიდევ უფრო მეტად ნაკლებობამ ხალხი არ ააჯანყოს.

--- --- --- --- --- ---

ვასილი კუზნეცოვი

7 ოქტომბერს, სსრკ-ის უმაღლესმა საბჭომ ხელის აწევით ერთხმად მიიღო ახალი კონსტიტუცია და ასევე ერთხმად აირჩია ბრეჟნევის პირველ მოადგილედ ვასილი კუზნეცოვი. ვ. კუზნეცოვს დიდი თანამდებობები ეკავა სტალინის დროს. ხრუშჩოვის დროს ის ჩამოქვეითდა. ამ უკანასკნელ წლებში მისი ვარსკვლავი კვლავ დიდი სისწრაფით მიიწევს მაღლა. ამბობენ, თავდაცვის მინისტრის, მარშალ უსტინოვის ერთგული კაციაო. ერთი რამ უდავოა: ვასილი კუზნეცოვი პირწავარდნილი რუსი ნაციონალისტია.

--- --- --- --- --- ---

ოთარ იოსელიანის ფილმი „პასტორალი“

ფრანგი ჟურნალისტი მიშელ სიმონი ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანია მსოფლიო კინო ხელოვნების. მან ხანგრძლივად იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და შეისწავლა, როგორც რუსული, ისე ეროვნულ უმცირესობათა კინო წარმოებები. ის განსაკუთრებით დაინტერესდა შუა აზიის და საქართველოს კინოებით. თავის კორესპონდენციაში მ. სიმონი დიდხანს ჩერდება და განსაკუთრებით კარგად ახასიათებს ქართულ კინო ხელოვნებას. მან ის განიცადა, როგორც უაღრესად ორიგინალური და თვითმყოფადი ხელოვნება. მას , ამავე დროს, არ გამოპარვია, რომ ქართულ კინოს შემოქმედთ დიდი ბრძოლის წარმოება უხდებათ იმისათვის, რომ შეძლონ ამ თვითმყოფადობის შენარჩუნება. მ. სიმონის მიხედვით, ოთარ იოსელიანის ფილმი „პასტორალი“ მსოფლიო კინო ხელოვნების შედევრია. ის აკრძალულია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და არც მისი ჩვენების ნებას აძლევენ მსოფლიო კინო ფესტივალებზე.(„ექსპრესი“ **№ *1368. 19-25*** სექტ. *1977*)

--- --- --- --- --- ---

ტენგ ჰსიაო პინგის განცხადება

კომუნისტური ჩინეთის იერარქიით მეორე პირმა, ტენგ ჰსიაო პინგმა ფრანგული პრესის საააგენტოს უფროსს, კლოდ რუსელს, სხვათა შორის, განუცხადა: „უნდა დაიმსხვრეს საბჭოთა კავშირის საომარი გეგმები. ყველა ქვეყნები უნდა შეთანხმდნენ, მათ შორის ამერიკის შ. შ-ბიც, მათ წინააღმდეგ. ამ საქმეში განსაკუთრებული როლი აკისრია დასავლეთ ევროპის გაერთიანებას.“.. „ევროკომუნიზმის გამარჯვება სასურველი არ არის, რადგანაც ის გამოიწვევს ევროპის წინააღმდეგობის შესუსტებას.“.. „მსოფლიო დეტანტი მავნეა, რადგანაც ის ემსახურება საბჭოების საქმეს“... „დამღუპველია ამერიკის და ევროპის მიერ საბჭოთა კავშირის მომარაგება ხორბლით და სხვა საკვები პროდუქტებით .“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბერი. კიდევ სამი დისიდენტი გადმოასახლეს საბჭ. კავშირიდან: **ტატიანა ხოდოროვიჩი, მარკ პოპოვსკი, დინა კამინსკა**– უკანასკნელი არის ადგილობრივ ხშირად იცავდა პოლიტიკურ პატიმრებს. ამ სამი გადმოსახლებულიდან არცერთი არ არის ებრაელი, მაგრამ სამივეს ისრაელის ვიზა აქვს.

--- --- --- --- --- ---

„კონტინენტის" საერთაშორისო კონფერენცია

ნოემბრის დამდეგს, ბერლინის დასავლეთ ზონაში გაიმართა „კონტინენტის" პირველი საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციამ მიმართა ამერიკის პრეზიდენტს რათა კვლავაც გააგრძელოს მის მიერ დაწყებული პოლიტიკა მსოფლიოში ადამიანის უფლებების დაცვისა.

--- --- --- --- --- ---

კერძო საკუთრების რეაბილიტაცია

აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური ქვეყნები სულ უფრო და უფრო თავს არიდებენ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მოდელს. თუმცა ამაზე იქ ბევრს არ ლაპარაკობენ, მაგრამ ცხოვრებაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს კერძო საკუთრება და კერძო ინიციატივა. ერთი სიტყვით, **მოგება.** ამ მხრით, პოლონეთი სამაგალითოდ გამოდგება. გასულ წლის ბოლოს მისმა მთავრობამ კერძო პირებს ხელსაყრელ ფასებში დაუთმო პატარა ფართობის მქონე სავაჭრო მაღაზიები და გლეხებს კერძო საკუთრებაში გადასცა სახელმწიფოს ხელში მყოფი დასამუშავებელი მიწები.

--- --- --- --- --- ---

ალ. გალიჩის ტრაგიკული გარდაცვალება

პარიზში, თავის ბინაში მკვდარი იპოვეს გამოჩენილი რუსი დისიდენტი პოეტი ალექსანდრე გალიჩი. ფიქრობენ რომ მას ელექტროკუცია მოუვიდა ტელევიზორის ჩართვის დროს. ალ. გალიჩი იყო სახელგანთქმული სცენარისტი და კინორეჟისორი. მისი სახელი განსაკუთრებით პოპულიარული გახდა მისი ლექსებით და გიტარაზე დამღერებით. საბჭოების სხვა ოფიციალურ პოეტების განსხვავებით, ალ. გალიჩი უმღეროდა სახელმწიფოს მიერ დაჩაგრულებს, დასჯილებს და დევნილებს. მისი სიმღერა რისხვად გაისმოდა ხელისუფალთა წინააღმდეგ, ამიტომაც მისი რესიტალები აკრძალეს, მაგრამ მისი სიმღერების ფირფიტები მრავლად ფარულად ვრცელდებოდა. მას შემდეგ, რაც მწერალთა კავშირიდან გამორიცხეს და ყოველგვარი სახსარი მოუსპეს ცხოვრებისათვის, ალ. გალიჩი იძულებული იყო გამოხიზნულიყო. *1973* წელში მან თავი შეაფარა ნორვეგიაში. შემდეგ გადავიდა მიუნხენში, ხოლო *1976* წელში ის პარიზში დასახლდა. უკანასკნელ წლებში განსვენებული თანამშრომლობდა რადიო „თავისუფლებაში", სადაც ის ხელმძღვანელობდა რუსულ ლიტერატურის განყოფილებას.

22 დეკემბერს, რიუ-დარიუს კათედრალში გადახდილ წირვის შემდეგ, ალექსანდრე გალიჩის ცხედარი მიაბარეს ქ. სენ-ჟენევიევ-დე-ბუაში, რუსების საკრძალავში.

ალ. გალიჩს მწუხარებით დაიტირებს, არა მარტო რუსი, არამედ ყველა სხვაც, ვინც თავისუფლებისათვის იბრძვის.

Djobadze's Library

--- --- --- --- --- ---

გრიგოლ გოლდშტეინის საქმე

ა.წ. *17* იანვარს, თბილისში დააპატიმრეს და *20* მარტს კიდევაც გაასამართლეს გრიგოლ გოლდშტეინი. მას ბრალდებად წაუყენეს **პარაზიტობა** და საბჭოთა სამართალმა ერთი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

გრ. გოლდშტეინი *42* წლისაა. ის მსახურობდა მეტეოროლოგიური კვლევისა და სამეცნიერო საკავშირო ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, ლაბორატორიის განყოფილების უფროსად. გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი მეცნიერული ნაშრომი და ავტორია ექვსი გამოგონების.

1971 წელში, გრ. გოლდშტეინმა და მისმა ძმამ ისაიმ ითხოვეს ვიზა ისრაელში წასასვლელად. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში მათ აუხსნეს, რომ მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ სამსახურის თავის დანებებისა მათ მისცემდნენ საბჭ. კავშირიდან წასვლის უფლებას. *1972* წელში **ორი** გაანცხადეს **საბჭოთა მოქალაქეობაზე** და იმავე წელში მიიღეს ისრაელის მოქალაქეობა. მიუხედავად ხუთი წლის გასვლისა მათ უარს ეუბნებიან ისრაელში გამგზავრებაზე. გრ. გოლდშტეინი აქტიური წევრი იყო ჰელსინკის აქტის დაცვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიქტორ რცხილაძის დაპატიმრება

ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ გასულ წელს, ზ. გამსახურდიასთან და მ. კოსტავასთან ერთად ვიქტორ რცხილაძეც დააპატიმრეს, მაგრამ 24 საათში გაანთავისუფლეს ვითომც ცუდი ჯანმრთელობის მიზეზით. მიმდინარე წლის 25 იანვარს ის ხელახლად დაუპატიმრებიათ. ვ. რცხილაძე იყო საქ. რესპუბლიკის ისტორიულ ძეგლთა დაცვის სამართველოს ინსპექტორი. ამ თანამდებობიდან ის ორი წლის წინად მოხსნეს, რადგანაც მან გაბედა და გააკრიტიკა მთავრობის დანაშაულებრივი უმოქმედობა, ამ ჩვენი კულტურული წარსულის უტყუარი მემატიანეების - ისტორიული ძეგლების მოვლის საქმეში.. ვ. რცხილაძეს დიდი როლი მიუძღვის სამშობლოდან გადასახლებულ მესხების უკან დაბრუნების ამბებში და „საქართველოს მოამბეში“ ვრცლად და დასაბუთებულად აღწერა 300 ათასი მესხის ტრაგედია. დაბოლოს, ის აქტიური წევრი იყო ადამიანის უფლებების დაცვის საქართველოს კომიტეტის და გაუგებარია რად დააშორა, სახ. უშიშროების კომიტეტმა, მისი საქმე გამსახურდია-კოსტავას საქმეს.

--- --- --- --- --- ---

ავთანდილ იმნაძის დაპატიმრება

28 აპრილს, მოსკოვიდან მიღებული ცნობების მიხედვით, თბილისში დაუპატიმრებიათ კინორეჟისორი ავთანდილ იმნაძე. მას უნდა ბრალდებოდეს 14 აპრილს, თბილისში ქართული ენის დაცვის მიზნით, გამართულ დემონსტრაციაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

--- --- --- --- --- ---

თავისუფალი პროფკავშირები

საბჭ. სახ. უშიშროების ორგანოებს ამ უკანასკნელ ხანში ახალი საზრუნავი გამოუჩნდა. მუშები და ხშირად უმუშევრებიც დაჟინებით მოითხოვენ მთავრობისაგან დამოუკიდებელ პროფკავშირების დაარსების უფლებას. პოლიციას მათ წინააღმდეგ სხვა იარაღი არ გააჩნია, გარდა ციხისა, შრომის ბანაკებისა და სპეციალური საგიჟეთებისა.

ვალენტინ პოპლავსკი ერთი აქტიური მებრძოლთაგანია ასეთი პროფკავშირების უფლების. ამის გამო მას არაერთი უსიამოვნება შეემთხვა. ამას წინათ სარაიონო სასამართლომ მას ერთი წლის პატიმრობა მიუსაჯა. 18 მაისს საკასაციო სასამართლომ იგივე სასჯელი დაუტოვა.

--- --- --- --- --- --- ---

ხაჩატურიანის გარდაცვალება

პირველ მაისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 73 წლის ასაკში, გარდაიცვალა მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორი **არამ ხაჩატურიანი.** ის დაიბადა თბილისელი სომხის ოჯახში და თბილისშივე გაატარა თავისი ახალგაზრდობა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მისი კომპოზიციები ასე დავალებული არიან ქართული ხალხური მუსიკით.

--- --- --- --- --- --- ---

იური ორლოვის გასამართლება

15-დან 18 მაისამდე, მოსკოვში გათამაშდა აკადემიკოს იური ორლოვის პროცესი, რომელიც იყო ჰელსინკის აქტის დაცვის მოსკოვის კომიტეტის თავმჯდომარე. სასამართლო ვითომც საჯარო იყო, მაგრამ დარბაზში შესვლა ვერასოდეს ვერ შეძლეს ვერც ბრალდებულის მეგობრებმა და ვერც დასავლეთის სააგენტოების კორესპონდენტებმა. დარბაზი სავსე იყო გადაცმული პოლიციელებით, რომლებიც ღაპარაკს არ აცლიდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ ბრალდებულს. იური ორლოვმა თავი არ ცნო დამნაშავედ. მან განაცხადა, რომ მისი მოქმედება იყო სრულიად ლეგალური, საბჭოთა კანონმდებლობის ფარგლებში. მოსკოვის საბჭოთა „სასამართლომ“ ორლოვს მიუსაჯა შვიდი წლით მკაცრი პატიმრობა და შემდეგ ხუთი წლით გადასახლება.

თავისუფალი მსოფლიო პროტესტებით შეხვდა ამ უსამართლობას. ამერიკის შ.შ. ინგლისის, დასავლეთ გერმანიის, ჰოლანდიის, კანადის და სხვა დემოკრატიული ქვეყნების მთავრობებმა, პარტიებმა და გამოჩენილმა საზოგადო და სამეცნიერო პირებმა დაგმეს და საპროტესტო განცხადებები გააკეთეს. თვით ევროპის კომუნისტურმა პარტიებმაც ყოველგვარი მერყეობის გარეშე გადაჭრით დაგმეს ორლოვის მკაცრი დასჯა და აღნიშნეს, რომ ასეთი პროცესი ვნებს სოციალიზმის საქმესო.

საფრანგეთის მთავრობამ, რომელიც საზოგადოდ დიდ თავდაჭერილობას იჩენს საბჭ. მთავრობის მიმართ, მისი საგარეო სამინისტროს მეშვეობით შემდეგი განცხადება გააკეთა: „საფრანგეთს მიაჩნია, რომ პასუხისგებაში მიცემა და დასჯა პიროვნებისა, ან ერთა ჯგუფის იმისთვის, რომ ისინი მოითხოვენ ჰელსინკში ხელმოწერილ აქტის ცხოვრებაში გატარებას თავიანთ ქვეყნებში, არის შეუთავსებელი, როგორც თვით ჰელსინკის საბოლოო აქტის, ისე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ერთობლივი დეკლარაციისა, რომელიც ხელმოწერილიქნა ქ. რამბუიეში *1977* წლის *22* ივნისს და ასევე საერთაშორისო დეტანტის განწყობილების.“

ამ დღეებში, ღია წერილი გაუგზავნა ევროპის ატომბირთვის დაწესებულების ხუთასმა ინჟინერმა და ფიზიკოსმა მის **დირექციას**, ჟენევაში, რომელშიც ნათქვამია: „ყოველი ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული იური ორლოვის განთავისუფლების მისაღწევად, ამ ღონისძიებათა შორის უნდა მიღებულიქნას შენელება ან სულ შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობისა.“ წერილში აგრეთვე ნათქვამია, რომ დირექციამ იური ორლოვს შეთავაზოს ევროპის ორგანიზმში თანამშრომლობა და ამისათვის მას შეუქმნას სათანადო მდგომარეობა.

თავის მხრით, საფრანგეთის ფიზიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფესორმა ბერნარ დრეიფუსმა სასტიკად დაგმო ის მძიმე სასჯელი, რომელიც იური ორლოვს დააკისრეს, სამწუხაროდ მიაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ საპროტესტო ხმა არ აღიმაღლა ამის გამო და თავის *23* მაისის წერილში ის წერს აკადემიის პრეზიდენტს, რომ: „საფრანგეთის საზოგადოებას არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს მომავალში ამ ფაქტს და გავლენა არ მოახდინოს საბჭოთა ოფიციალურ ორგანიზმებთან, და განსაკუთრებით თქვენი აკადემიის მიმართ მის განწყობილებაზე.

სწორედ ამ დღეებში საფრანგეთის ტელეხედვაში უჩვენეს დრეიფუსის საქმე და ადგილი ჰქონდა სჯა-ბაასს საფრანგეთის ამ მტკივნეულ საკითხის შესახებ. ამ განწყობილებაში, საჯარო განცხადება გააკეთა საფრანგეთის კომპარტიის გამოჩენილმა თეორეტიკოსმა, ფილოსოფოსმა ჟან ელეინშტაინმა: „ამჟამად ათასობით დრეიფუსები იმყოფებიან საბჭოთა კავშირში. ორლოვის პროცესი ერთი მათგანია, რომელიც განსაკუთრებით უნდა დაიგმოს.“

§§§ §§§ §§§ §§§ §§§

ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას „გასამართლება“

ჩვენი ვარაუდი გამართლდა, როცა გასულ მარტში ამის წინა ნომერში ვწერდით, რომ ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ალბათ მალე გაასამართლებენ თქვა. *13* თვის სრულ იზოლაციაში ყოფნისა და მოსკოვის სერბსკის ფსიქიატრიულ ინსტიტუტში პატიმრობის შემდეგ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა პროცესი გაუმართა და შემთხვევითი როდი ყოფილა თუ ერთდაიმავე დროს გათამაშდა მოსკოვში იური ორლოვის და თბილისში გამსახურდია-კოსტავას პროცესები.

მოსკოვში ბრალდებულის ცოლსა და შვილს მაინც მიცეს ნება სასამართლოს დარბაზში შესვლის და მათი საშუალებით მთელი სამყარო, ცოტად თუ მეტად, კურსში იყო რაც იქ ხდებოდა, მაშინ როდესაც თბილისის პროცესი სრულ იზოლაციაში იყო. პროცესის მიმდინარეობის დღეებში, ტელეფონით დალაპარაკებაც კი არ შეიძლებოდა მოსკოვიდან თბილისში. ამის გამო მთელი გარე სამყარო, მათ შორის ჩვენც, იძულებული იყო მხოლოდ საბჭოების ოფიციალურ სააგენტოს კომუნიკეთი დაკმაყოფილებულიყო. სიტყვა-სიტყვით იქ ნათქვამია: „თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს კოლეგიამ ა. კობახიძის თავმჯდომარეობით დაამთავრა ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას სისხლის სამართლის საქმის განხილვა, რომელიც საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახ. უშიშროების კომიტეტმა გამოიძია, რომელთაც ბრალად ედებათ სახელმწიფო დანაშაულის ჩადენა. სახელმწიფო ბრალდებას მხარი დაუჭირა საქ. სსრ პროკურორის თანაშემწემ, იუსტიციის მრჩეველმა გ. უგულავამ. განსასჯელებს იცავდნენ ადვოკატები მ. ალხაზიშვილი და ო. ნიკოლაიშვილი. სასამართლო გარჩევის დროს, რომელიც ხუთ დღეს გრძელდებოდა, სასამართლომ დაადგინა, რომ ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა მთელი რიგი წლების მანძილზე ეწეოდნენ ანტისაბჭოთა აგიტაციას და პროპაგანდას, ავრცელებდნენ ცილისმწამებლურ მონაჭორს, რითაც ჩირქს სცხებდნენ საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობილებას, აგრეთვე ამზადებდნენ, ინახავდნენ და ავრცელებდნენ ამ მიზნით ცილისმწამებლური, ანტისაბჭო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ური შინაარსის ლიტერატურას.

განსასჯელმა ზ. გამსახურდიამ სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებში აღიარა, რომ დანაშაულებრივი მოქმედება ჩაიდინა, თქვა, რომ იგი შეაცდინეს ამერიკელმა დიპლომატმა ბელოუსოვიჩმა და შეერთებულ შტატების ჟურნალისტებმა შიპლერმა და ფრენდლიმ.

ამ დანაშაულებრივი მოქმედების ჩადენა, რაც გათვალისწინებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილით, დამტკიცდა განსასჯელთა და მოწმეთა ჩვენებებით, საქმისათვის დართული ნივთიერი მტკიცებულებებით, ექსპერტიზის მონაცემებით.

სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენში აღნიშნულია, რომ ჩადენილი დანაშაულობებისათვის განსასჯელნი იმსახურებდნენ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ მკაცრ სასჯელს, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა განსასჯელ გამსახურდიას გულწრფელი აღიარება და სრული მონანიება, აგრეთვე მ. კოსტავას აღიარება და შესაძლებლად ცნო აკმაროს ორივე განსასჯელს თავისუფლების აღკვეთა სამ წლამდე ვადით და შემდგომი გადასახლება ორი წლით. (საქინფორი).“

მკითხველი შეამჩნევს, რომ „საქინფორმის“ კომუნიკე განსაკუთრებით ხაზს უსვამს ზ. გამსახურდიას „გულწრფელ აღიარებას და სრულ მონანიებას“. ამ საკითხში განსაკუთრებით დიდი განსხვავებაა აკადემიკოს ან. სახაროვის წრიდან მოსულ ცნობაში, რომლის მიხედვით ზ. გამსახურდიას თავი უცვლია დამნაშავედ, წაყენებულ ბრალდებათა , მხოლოდ ორ საკითხში: რუსების ემიგრანტული პოლიტიკური ორგანიზაცია სოლიდარისტების პროკლამაციის და ერთი ნაციონალისტი ქართველი გენერლის ნეკროლოგის დაბეჭდვის გამო, მის კრებულ „საქართველოს მოამბე“-ში(ეს ნაციონალისტი გენერალი უნდა იყოს პოლკოვნიკი შალვა მაღლაკელიძე, რომლის ნეკროლოგიცაა „საქ. მოამბე“ №2-ში). აღიარა რა თავი დამნაშავედ ამ ორ საკითხში, დაუძენია, რომ: „თუმცა საბჭოთა კავშირის კანონების მიხედვით ასეთი საქმიანობა დანაშაულად ითვლება, მე საერთოდ არ მიმაჩნია თავი დამნაშავედო“.

ამ ორი ცნობის გარდა, სხვა რამე მნიშვნელოვანი და საყურადღებო არაფერი გაგვაჩნია, თუმცა 24 მაისის გაზეთ „კომუნისტში“ და მაისის თვის ჟურნალ „სამშობლოში“ ამ საქმეს მიძღვნილია საკმაოდ მოზრდილი სტატიები. მაგრამ, ოფიციალურ სააგენტოსაგან განსხვავებული მათში თითქმის არაფერია, გარდა ტყუილუბრალო მრავალსიტყვაობისა.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ, როგორც გამსახურდია-კოსტავასი, ისე ყველა სხვა პროცესები, რომლებიც ამ უკანასკნელ ორ წელიწადში ჩატარდნენ, როგორც საქართველოში, ისე თვით რუსეთში, უდავოდ მოწმობენ, რომ ბრეჟნევის საბჭოთა რეჟიმი, ამ საკითხშიაც, პირწავარდნილი სისხლიანი მემკვიდრეა სტალინის, იმ განსხვავებით, რომ მოწაფე მასწავლებლის ხელოვნებამდე ვერ ამაღლებულა.

ჩვენ გვარწმუნებენ გამსახურდიამ და კოსტავამ თავი დამნაშავედ ცვნეს და კიდევაც მოინანიესო. მით უარესი საბჭოთა სამართლისათვის! ის რაც მათ გააკეთეს იმისათვის არც ერთ დემოკრატიულ ქვეყანაში არ შეიძლებოდა მათი პასუხისგებაში მიცემა.

ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ, თქმა არ უნდა, დიდი და მძიმე ფიზიკური და მორალური წამება გადაიტანეს. და ჩვენ ეს კიდევ უფრო მეტად გვავალებს, მათ კეთილისმსურველებს, მთლიანად შეუნახოთ, არ მოვაკლოთ ჩვენი ნდობა და თანაგრძნობა.

არიან ვაი ქართველები, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას სიგლახე ჩაედინოთ, რომ ზ. გამსახურდიას მისი სახელოვანი მამა შეერცხვინოს. მე მათ ვეტყვი: თქვენ ცდებით სასტიკად! ზ. გამსახურდიამ რაც გააკეთა მისი სათავეები კონსტანტინე გამსახურდიას სიცოცხლეში არიან უსათუოდ. არ შევცდები თუ ვივარაუდებ, რომ ზვიადს ჰქონდა მხცოვანი მამის ლოცვა-კურთხევა. ზ. გამსახურდიამ შეგნებულად პირადი მსხვერპლი გაიღო, მსხვერპლი პირად ინტერესს მოკლებული უაღრესად კეთილშობილური. რითაც ის მის სახელოვან მამაზე უფრო მეტად ამაღლდა. მან კი არ შეარცხვინა სახელგანთქმული მწერალი, არამედ მას კიდევ უფრო მეტი დიდების შარავანდედი დაადგა თავზე.

რაც შეეხება მათ მიერ „დანაშაულის აღიარებას და მონანიებას“, ჩვენ უფლება არ გვაქვს მათი ამ საკითხში განსჯის. ჩვენ არ ვიცით რა პირობებში გაატარეს მათ გამოძიების ცამეტი თვე, თუმცა წარმოგვიდგენია კი, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ადამიანის გამძლეობას საზღვარიაქვს, და თვით მაცხოვარმა, იესო ქრისტემ ჯვარზე გაკრულმა, სულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განტევების წინ, ფიზიკური ტკივილებისაგან სასოწარკვეთილმა, გმო მამა-ღმერთი და წამოიძახა: „ელი, ელი! საბაქთანი?“ (ღმერთო, ღმერთო! რად მიმატოვე?“)(მათეს სახარება).

--- --- --- --- --- --- გ. ფ.

გენერალ გრიგორენკოს განცხადება

ფრანგულ გაზეთ „ფიგაროში“ *19* მაისის თარიღით დაიბეჭდა გენერალ პიოტრ გრიგორენკოს ინტერვიუ ზ.გამსახურდიაზე, მ. კოსტავაზე და მათ „გასამართლებაზე“. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მისი ცოდნა ყველა ქართველისათვის საჭიროა, ამიტომ ის ვთარგმნეთ სიტყვა-სიტყვით:

„*15* მაისს *1978* წელს, საქართველოს დედაქალაქ თბილისში დაიწყო ერთი სასამართლო პროცესი, სადაც ბრალდებულებად არიან ზ. გამსახურდია და მ. კოსტავა, რომლებიც იყვნენ წევრები ჰელსინკის შეთანხმების ცხოვრებაში გატარების მეთვალყურე ქართული ჯგუფის. მათ მიღმა მთელი საქართველოა საბრალდებო სკამზე.

კიდევ ერთი შავი ღამე ჩამოწვა საქართველოს ცაზე, რომელიც უკვე დიდი ხანია რაც ატანჯება. ქართული კულტურა და მდიდარი ქართული ენა - ენა შოთა რუსთველის და კონსტანტინე გამსახურდიასი, განთქმული ქართველი მწერლის, რომელიც ერთერთი ბრალდებულის მამა იყო - დევნას განიცდიან.

კ.გ.ბ.-ს და მ.ვ.დ.-ს საპატიმროებში ადამიანებს საშინლად აწამებენ, რაც ქვეყანაზე არავინ არ იცის. ეს სრული სიჩუმე დარღვეულ იქნა ქართველი ხალხის საპროტესტო ძახილით, რომ დაიცვან მათი ენა და მათი კულტურა: ასეთი იყო ხმები ზ. გამსახურდიასი და მისი ორი თანამოსაქმის, მ. კოსტავასი და ვ. რცხილაძის. მათი ხმა გაისმოდა დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში, შემდეგ პატიმრობამ ისინი ჩააჩუმა, *1977* წლის *17* აპრილიდან. ამ ცამეტი თვის განმავლობაში რა უქნეს მათ კ.გ.ბ-ს ციხეებში, სერბსკის ფსიქიატრულ ინსტიტუტში? ამის შესახებ არავინ არაფერი არ იცის. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ მათ ოჯახებმა განიცადეს მკაცრი მუქარა და დაწოლა კ.გ.ბ-გან. გამსახურდიას ცოლი და მცირეწლოვანი ბიჭი მოკლებული იყვნენ ყოველ მატერიალურ საშუალებებს, მათი ბინა იქნა დარბეული, ხელნაწერები და დოკუმენტები ჩამორთმეული სასამართლოს დადგენილების გარეშე. ეხლა „პროცესი“ დაიწყო, ვინ არიან მოსამართლეები? რა ბრალდებებს უყენებენ მათ? რა კანონის ძალით ასამართლებენ მათ?

რაც არ უნდა იყოს განაჩენი და გინდ ბრალდებულებმა კიდევაც „აღიარონ თავიანთი დანაშაულებანი“, ჩვენ, გამსახურდიას და კოსტავას მეგობრებმა, ვიცით, რომ ისინი უდანაშაულო არიან და დადგება დრო, როცა ქართველი ერი მათ ეროვნულ გმირებად იცნობს, ხოლო მათ ვინც ასამართლებს, იმათ კი დაგმობს.

მთელმა მსოფლიომ უნდა აიმაღლოს ხმა, რათა დაგმოს ეს უმართებულო გასამართლება, ადამიანის უფლებათა დამცველებისა საქართველოში. უნდა მოთხოვნილი იქნას ზ. გამსახურდიას და მ. კოსტავას დაუყოვნებლად განთავისუფლება.

თ.ტ-ის რედაქციისაგან: გენერლად ყოფილი პეტრე გრიგორენკო სამოცდაათი წლისაა. ის ბრეჟნევის თანამებრძოლი იყო რუსების სამამულო ომის დროს, უკრაინის ფრონტზე. *1960* წლიდან , გრიგორენკო აშკარა ოპოზიციაშია საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის. მან განსაკუთრებით თავი გამოიჩინა ყირიმელი თათრების სამშობლოში დაბრუნებისათვის წარმოებულ ბრძოლით. ამის გამო ის ვიჟად გამოაცხადეს და მოათავსეს ყველაზე ავად ხსენებულ ფსიქიატრულ ციხეში, სადაც გაატარა *1974* წლამდე, რიჩარდ ნიქსონის ვიზიტად ჩასვლის წინა დღით გაანთავისუფლეს.

გრიგორენკო დაუყოვნებლივ ჩაება აქტიურ კონტესტატორულ საქმიანობაში, ხშირად პრეს-კონფერენციებს უკეთებდა მოსკოვში მყოფ დასავლეთის ჟურნალისტებს და ან. სახაროვთან ერთად ითვლება რუს ოპოზიციონერთა ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად.

გასული წლის ნოემბერში თვით გენერალი, ცოლი ზინაიდა და შვილი ოლეგი სამკურნალო ვიზით გაუშვეს ამარიკის შ. შ-ში. რამდენიმე დღის შემდეგ ის მოღალატედ გამოაცხადეს საბჭოთა პრესაში, ხოლო ა.წ. მარტში ჩამოართვეს საბჭოთა მოქალაქეობა.

მიხეილ ქავთარაძე თავის ასულ ასინეთთან და სიძე დავითთან ერთად, უღრმეს მადლობას მოახსენებს ყველას, ვინც პირადად ან წერილობით, ჩვენი მწუხარება გაიზიარა, საღმრთო მეედერ-ქავთარაძის გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს შემდეგ აფხაზეთი

ასეთი სათაურით, დასავლეთის პრესამ შეაჯამა თავის მკითხველებს, აფხაზეთში, ახალ კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებული ნაციონალისტური მანიფესტაციები.

მაშინ, როცა საბჭოების საინფორმაციო საშუალებებმა სიტყვა არ თქვეს თბილისში ჩატარებულ პატრიოტულ დემონსტრაციებზე, პირიქით, აფხაზეთის ამბებს არაჩვეულებრივი ბედი ხვდათ: კრემლმა ჯერ სპეციალურად ადგილზე მოავლინა კპც კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი და შემდეგ საკავშირო ცენტრალური კომიტეტის განყოფილებების გამგეები ვ. ე. ბროვიკოვი, ა. ს. სენიკოვი, ვ. ვ. ვასილიევი და სხვა. საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ ერთობლივი სპეციალური დადგენილებები მიიღეს აფხაზეთის შესახებ, რაც სწორედ აფხაზეთის ახალი კონსტიტუციის მიღების დღეს გამოცხადდა, და ყველაფერი ეს მოხდა, საბჭოებისათვის უჩვეულო პირობებში, საჯაროდ, დიდი გახმიანების პირობებში.

საქმე იმაშია, რომ აფხაზეთში მომხდარი მანიფესტაციები რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ კი არ იყვნენ მიმართული, არამედ საქართველოს, ქართველების წინააღმდეგ. ეკონომიკური, კულტურული და სხვა საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების გვერდით, აფხაზი მანიფესტანტები, მოითხოვდნენ ქართული ენის , როგორც ოფიციალური ენის ამოღებას ახალ კონსტიტუციიდან, და, რომ ამავე კონსტიტუციის მიხედვით აფხაზეთს მიცემოდა უფლება საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოსვლის და რუსეთის ფედერაციულ რესპუბლიკაში შესვლის.

„ნაციონალისტ"აფხაზების მიხედვით, ქართველები აფხაზებს საშუალებას არ აძლევენ თავიანთი ეროვნული ენის და კულტურის განვითარებისას, უმახინჯებენ ისტორიას და სხვა.

კრემლის წარმომადგენელმა ი. ვ. კაპიტონოვმა, აფხაზეთის დედაქალაქში შეკრებილ პარტიულ აქტივის კრებას განუცხადა, საბჭოური რიტუალური შესავლის, საბჭ. კავშირის დიდი და ყოველმხრივი წარმატებების შესახებ, რომელშიაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს აფხაზეთის მშრომელებს, შემდეგ :

„ამხანაგებო! უკანასკნელ ხანს სსრ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმსა და სხვა საკავშირო ორგანოებში აფხაზეთიდან ბევრი წერილი, განცხადება, დეპეშა მოდის - როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური. მათში წამოჭრილია მთელი რიგი საკითხები, გამოთქმულია კრიტიკული შენიშვნები როგორც აფხაზეთის, ისე საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მისამართით, გამოთქმულია სხვადასხვა წინადადება და სურვილები. მათ შორის მთავარია აფხაზეთში ერთაშორისი ურთიერთობის საკითხი. კერძოდ ნათქვამია, რომ ზოგიერთი ავტორი მცდარად აშუქებს აფხაზი ხალხის ისტორიას; რომ ბოლომდე არ არის გადაწყვეტილი აფხაზური გეოგრაფიული სახელების აღდგენის საკითხი; რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა აფხაზური ეროვნული კულტურისა და ენის განვითარებას; აღნიშნნულია აგრეთვე აფხაზი ეროვნების კადრების მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები და ა.შ. წამოჭრილია ეკონომიური ხასიათის ზოგიერთი საკითხი. პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყურადღებით ეკიდება ყველა ამ სიგნალს და მიიჩნია, რომ აღნიშნულიდან ზოგიერთ საკითხის დაყენებას გარკვეული საფუძველი აქვს. ამჟამად რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები ამუშავებენ იმ ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომელთა მიზანია აღნიშნულ წერილებსა და ზეპირ განცხადებებში აღნიშნული ნაკლოვანების აღმოფხვრა. თქვენ უკვე იცით, რომ საქ. კ.პ.ც-მა კომიტეტმა მიიღო ვრცელი დადგენილება. ეს, ამხანაგებო დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტია, რომელშიც გაცემულია პასუხი მრავალ წამოჭრილ საკითხზე და რომელიც განსაზღვრავს მოქმედების კონკრეტულ პროგრამას. ამხანაგმა შევარდნაძემ სკკპ ცენტ. კომიტეტის წინაშე დააყენა მთელი რიგი საკითხები, რომლებსაც საარსებოდ დიდი მნიშვნელობა აქვს თქვენი ავტონომიური რესპუბლიკისათვის. იმ ნაწილში, სადაც საჭირო იქნება საკავშირო ორგანოების დახმარება (უნივერსიტეტის, ტელევიზიის და სხვა საკითხები), ასეთ დახმარებას არსებული შესაძლებლობის ფარგლებში, რა თქმა უნდა გაგიწევთ.

ამ საკითხებთან ერთად წამოჭრილია საკითხი აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საქართველოს შემადგენლობიდან რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში გადასვლის შესაძლებლო-

ბის შესახებ. შემოაქვთ წინადადება, რომ კონსტიტუციაში ჩაწერილ იქნეს სპეციალური მუხლი ასეთი გადასვლის უფლების თაობაზე. რა შეიძლება ითქვას არსებითად ამ საკითხის შესახებ? ჩვენს ქვეყანაში ოცი ავტონომიური რესპუბლიკაა... " „არსად, არც ერთ ოეს-პუბლიკაში არ წამოუყენებიათ მსგავსი მოთხოვნები ან სხვა ისეთი საკითხები, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციას, მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებს და ამას მაღალი შეფასება ეძლევა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ჩვენ გვჯერა, რომ ის ამხანაგები, რომლებიც აყენებენ ან მხარს უჭერენ აფხაზეთის ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან მეორეში გადასვლის საკითხს, შეიგნებენ თავიანთი პოზიციის არამართალზომიერებას და თავისას არ დაიჩემებენ. საბჭოთა აფხაზეთის მომავალი განვითარება და შემდგომი აყვავება ამაში როდი უნდა ვეძიოთ. ეს არავითარ სარგებლობას არ მოუტანს არც აფხაზებს, არც თქვენს რესპუბლიკაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა ადამიანებს. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს წინადადება ძალზე ყურადღებით, ყოველმხრივ განიხილეს ცენტრალურ ორგანოებში. გათვალისწინებულ იქნა როგორც აფხაზი ხალხის, ისე საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები, მხედველობაში იქნა მიღებული საშინაო პოლიტიკური და საგარეო პოლიტიკური გარემოებანი. ამიტომ მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული რაიმე ფორმით გადაწყვეტა ამ საკითხისა, რომელიც სსრ კავშირის კონსტიტუციის და საქართველოს სსრ კონსტიტუციის ფარგლებს სცილდება. ყველაფერი, რაც ეხება სსრ კავშირის ეროვნულ- სახელმწიფოებრივ წყობას, ზუსტად და გარკვეულად არის გადაწყვეტილი ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში. და სწორი არ იქნებოდა, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებში ყოფილიყო დებულებები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ძირითად კანონს არ შეესაბამება. და კიდევ ერთი რამ, კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს ზოგიერთ კრებაზე შემოაქვთ წინადადებანი ჩამოთვლილი სახელმწიფო ენებიდან ამოღებულ იქნას ქართული ენა. განა შეიძლება დავეთანხმოთ ასეთ აზრს? რა თქმა უნდა, არა, ამხანაგებო, რადგან ეს ძირფესვიანად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას".

ამის შემდეგ, კაპიტონოვი შენიშნავს, რომ აფხაზეთში ცხოვრობს თითქმის სამოცდაათი ეროვნების წარმომადგენელი და აფხაზეთის მომავალი მდგომარეობს მათ შორის მეგობრობის განმტკიცებაში, და არა ურთიერთ მტრობაში. უსიამოვნება და გაუგებრობა შეიძლება ნათესავებს, ერთდაიმავე ოჯახის წევრებს შორისაც მოხდეს, სიბრძნე იმაშია, რომ მათი გადაწყვეტა ურთიერთ პატივისცემისა და ნდობის გზით ხდებოდესო და სხვა.

ამგვარად, დღის სინათლეზე გამოვიდა, სამიტინგო საქმედ იქცა ეს უაღრესად მტკივნეული და სათუთი საკითხი ქართველების და აფხაზების ურთიერთობისა. უკვე ნიკიტა ხრუშჩოვის ბატონობის დროს ცნობილი იყო აფხაზების ერთი ნაწილის უარყოფითი განწყობილება საქართველოს მიმართ. საბჭოთა ტოტალიტარული ბუნება არ უშვებს თავისუფალ საჯარო ახსნა-განმარტებას და მით ზოგიერთი გაუგებრობების გარკვევას და დროულ გამოსწორებას. თავის დროზე მოუვლელ სხეულის ნაწილს კი ხშირად განგრენა ემართება, რის შემდეგაც ერთად ერთი საშუალება და რჩება გახრწნილი ნაწილის მოკვეთა.

აფხაზეთში ატეხილი ბრახა-ბრუხი თუ კრემლის ჩაწყობილი არ არის, ის მაინც საეჭვო არ არის, რომ მათ ეს განსაკუთრებით ხელს აძლევს ურჩი ქართველების წინააღმდეგ. ამ საქმეზე საბჭოთა საპროპაგანდო მძიმე აღტილერიის ამუშავება, კიდევ უფრო ადასტურებს ამ ეჭვებს. რუსებმა მეთოდიურად, ერთი მეორეზე მიყოლებით მოინელეს ყუბანისა და თერგის კაზაკები, გადაასახლეს ან ფიზიკურად მოსპეს ჩრდილო კავკასიის პატარა მაგრამ ძველთაძველი და მამაცი ხალხები. ეხლა რიგი ამიერკავკასიაზეა და იქ ყველაზე სუსტი ადგილი აფხაზეთია. ეს სამხრეთის რივიერა განსაკუთრებით ხიბლავს რუსების ჩრდილოეთის ყინვებით გათოშილ სულს. აფხაზების და ქართველების ისტორიულ ერთობას ჯერ თურქეთმა მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები, შემდეგ, ამ ერთნახევარ საუკუნის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფო ამ ჭრილობებს თავის სასარგებლოდ იყენებს. ქართული ანბანი ხომ გააძევეს და რუსულით შეცვალეს. ეხლა დრო მოახლოებულია აფხაზეთიდან ქართული ენის გასაძევებლად და საქართველოდან აფხაზეთის ფიზიკურად მოსაწყვეტადაც. კაპიტონოვის საჯარო უარი ამ მხრივ რუსული ფანდია და ამან თვალები არ უნდა აუხვიოს არც ქართველებს არც ჭეშმარიტ პატრიოტ აფხაზებს. ის აფხაზები, რომლებიც ქართველების წინააღმდეგ რუსეთის ფედერაციაში შესვლას მოითხოვენ, რუსული იმპერიალიზმის ან ნებსითი ან უნებლიე აგენტებია.

მ. განშორებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

შველი. მონადირე. ბუნება.

ქართული მოკლე მოთხრობები.

ასეთი სათაური აქვს პატარა ლამაზ წიგნაკსგერმანულ ენაზე, გამოცემულს „ქართული გამომცემლობა საქართველო"-სი ნიკოლოზ ჯანელიძის სახელით. გამომქვეყნებელი: ლიდია პაპე გეგელაშვილი.

ამგვარად ეს წიგნაკი, სიყვარულით შემქმნილი უკანასკნელი ნახელავია, რომლის დატოვებაც ამ სიმპატიურმა უდროოდ ჩამქრალმა პატარა, მაგრამ სინათლით და გულწრფელობით სავსელამპარმა შესძლო, როგორიც ლიდია გეგელაშვილი იყო.

შველი, ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობია"; მონადირე, ნაწყვეტია ილიას ნაწარმოებიდან; ბუნება, თეთრი ლექსით თარგმნილი პატარა ორტაპიან შაირისა.ილუსტრაციები და გაფორმება ეკუთვნის იოჰანეს კლოტც-ს და შესრულებული თბილისური გამოცემების, „ვანათლება" და „ილია"-ს შთაგონებით.წიგნის ბოლოს მოთავსებულია ილიას და ვაჟას მოკლე დახასიათება, ორიოდე ამონაწერი გერმანულ გაზეთებიდან ლიდია გეგელაშვილის ცხოვრებას რომ შეეხებიან და დედა-შვილის ფოტოსურათი.

ვინც მათი ცხოვრების მწუხარე ისტორიას იცნობს იფიქრებს, რომ ამ თემაზე გულისგამგმირავი რომანი დაიწერებოდა– რომანი სინამდვილიდან, ნათელი დამტკიცება იმისა, რომ მიუხედავად ჩვენი საუკუნის ულმობელ მატერიალიზმისა, კიდევ არსებობენ მაღალსულოვანი ადამიანები, რომელთა მიერ განცდილი უღრმესი ტრაგედია, რაღაც აღზევებულს და მტკივნეულ სილამაზეს შეიცავს.

მ. ქავთარაძე

მწუხარებით ვაუწყებთ

6 აპრილს, თავის ბინაზე ქ. შატუში (პარიზის გარეუბანი), უეცრად გარდაიცვალა 24 წლის ჭაბუკი, **ალექსი გიორგის ძე ჩხეიძე**. აუარებელმა ქართველმა, ფრანგმა და სხვა მეგობარმა მისი ცხედარი მიაბარა ღვიძლის სასაფლაოს, მამისა, დისა და ძმის გვერდით.

--- --- --- --- --- ---

ა.წ. 16 აპრილს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, 73 წლის ასაკში, პარიზში გარდაიცვალა **ვიქტორ შუბლაძე**. 20 აპრილს დასაფლავებულ იქნა ღვიძლის სასაფლაოზე.

--- --- --- --- --- ---

თავისუფლების ტრიბუნა გლოვობს მათ და ღრმა მწუხარების გამომხატველ სამძიმარს უცხადებს მათ უნუგეშო ჰირისუფლებს.

თავისუფლების ტრიბუნის ფონდი

ლიდია და ულრიხ პაპეს მოსახსენებლად	400 ფრ.	დიმიტრი გოგიშვილი	23,72
ბეგიაშვილი დიმიტრი	50	ქ. გ.	50
ელენე და შალვა ციფცაძე	539,55	შალვა შავლაყაძე	„
ვ. ს.	91,80	დიმიტრი გუნია	45
ბედელაძე ნიკოლოზი	100	გერასიმე ბოლქვაძე	100
ირინე ბაგრატიონი	100	არჩილ მკედლიშვილი	50
იონა გუნია	50	ვიტალი უგრეხელიძე	16,40
გ. ქ-ა	221,43		
		ჯამი	2 087,90 ფრანკი

--- --- --- --- --- --- ---

საქართველოს დამოუკიდებლობის სამოცი წლისთავი პარიზში

პარასკევს ოცდაექვს მაისს, ყოფილმა მებრძოლებმა ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკეს და წმინდა ცეცხლის აღი აანთეს უცნობი ფრანგი ჯარისკაცის საფლავზე.

საღამოს შვიდ საათზე და ნახევარზე, წმინდა ნინოს ეკლესიაში, დეკანოზმა ილიამ პანაშვიდი გადაიხადა საქ. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მამულიშვილთა სულის საცხონებლად და წირა დამოუკიდებლობის სადიდებელი პარაკლისი.

მეორე დღეს, შაბათს, საღამოს 9 საათზე, პარიზის მეთოთხმეტე არონდისმანის მერიის საღღესასწაულო დარბაზში, დაიწყო საქართველოს დამოუკიდებლობის სამოც წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი. გუნდმა შეასრულა **დიდება** და **მარსელიოზა**, რის შემდეგ, სიტყვები წარმოთქვეს **ვიქტორ ნოეს ძე ხომერიკმა** და **ტარიელ არჩილის ძე ზურაბიშვილმა**. სიტყვების შემდეგ გაიმართა ქართული ქეიფი, ქართული სიმღერებით და ცეკვებით, რომელმაც გვიან ნაშუაღამევამდის გასტანა.